# საქართველოს კანონი

# წიაღის შესახებ

1. საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინეტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.

2. წიაღი არის დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც გაშიშვლებულია მიწის ზედაპირზე ან მდებარეობს ნიადაგის ფენებსა და წყალსატევში, აგრეთვე ნიადაგის ფენისა და წყალსატევის ფსკერის ქვეშ და ხელმისაწვდომია შესწავლისა და ათვისებისათვის. *(1.03.2002N319)*

3. წიაღისეული არის წიაღში არსებული ბუნებრივი ან ტექნოგენური წარმონაქმნები ან/და მათი ერთობლიობა. *(22.04.2005 N 1409)*

4. წიაღისეული, რომლის მოპოვება და გადამუშავება შესაძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზე, ეკონომიკურად მიზანშეწონილია და ეკოლოგიურად მისაღებია, წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულს, რომელშიც მისი დანიშნულებისა და გამოყენების სფეროების მიხედვით გამოიყოფა სათბობ-ენერგეტიკული, მადნეულის (შავი და ფერადი ლითონების მადნები), სამშენებლო მასალების, სამთო-ქიმიური ნედლეულის, მიწისქვეშა წყლებისა და არასაწვავი აირების და სხვა არამადნეული წიაღისეულის სახეობანი. მადნეულ სასარგებლო წიაღისეულში შეიძლება გამოიყოს ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეული. ასეთ შემთხვევაში მადნეული სასარგებლო წიაღისეულის სახეობა განისაზღვრება მასში არსებული ძირითადი სასარგებლო წიაღისეულის მიხედვით. ძირითადი სასარგებლო წიაღისეული წარმოადგენს მადნეულ წიაღისეულში არსებულ იმ ძირითად სასარგებლო კომპონენტს, რომლის მოპოვების მიზნითაც ხდება საბადოს დამუშავება. მადანში არსებული ის კომპონენტები, რომელთა მოპოვება და გამოყენება ხდება ძირითად სასარგებლო წიაღისეულთან ერთად, წარმოადგენს თანმდევ სასარგებლო წიაღისეულს. ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეული განისაზღვრება ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად. *(22.04.2005 N 1409)*

5. სასარგებლო წიაღისეულის საბადო არის წიაღის გარკვეულ ფარგლებში ბუნებრივად ან ტექნოგენურად კონცენტრირებული სასარგებლო წიაღისეული.

ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს წიაღისა და სასარგებლო წიაღისეულის რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივი კანონზომიერებისა და გარემოს პოტენციური შესაძლებლობების, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

6. ბუნებრივი საბადო არის წიაღის უბანი მასში ბუნებრივად კონცენტრირებული სასარგებლო წიაღისეულით, რომლის დამუშავებაც ხელსაყრელია მისი მარაგების, სამთო-ტექნიკური პირობების, ოდენობის, ხარისხისა და სხვა პარამეტრების გამო. (1.03.2002.N1319)

7. ტექნოგენური საბადო არის სანაყაროთი, ტერიკონით, სალექარით, კუდსაცავით, სპეციალური საწყობებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევებით ან სხვა აკუმულაციური ფორმებით შექმნილი წიაღის უბანი, სადაც დაგროვილია

სამთომომპოვებელი ან/და მეტალურგიული საწარმოების შედეგად წარმოქმნილი ტექნოლოგიური ან სხვა სახის, მათ შორის, ბუნებრივ და ხელოვნურ წყალსაცავებში დალექილი ნარჩენები, აგრეთვე წყალსაცავებში აკუმულირებული ჩამონატანი, სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას დანაკარგის სახით დარჩენილი მინერალური რესურსები, რომელთა ოდენობა, შემადგენლობა, თვისებები და სხვა პარამეტრები ხელსაყრელია მათი უშუალოდ მოპოვების ან/და გადამუშავების შემდეგ გამოყენებისათვის. (1.03.2002.N1319)

8. წიაღის უბანი არის წიაღის გეომეტრიზებული, სივრცობრივად, როგორც მის სიღრმეში, ასევე ზედაპირზე, მთლიანად ან ნაწილობრივ შემოსაზღვრული ბლოკი, რომელიც მასში არსებული ბუნებრივი და ტექნოგენური წარმონაქმნებით სამთო ურთიერთობებში წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრების ობიექტს. (1.03.2002.N1319)

9. საბადოს დამუშავება არის სამთომოპოვებით და მასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლიობა, რომლითაც ხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის წიაღიდან ამოღების ტექნოლოგიური ციკლი. (1.03.2002.N1319)

10. წიაღის მოპოვება არის უშუალოდ ლიცენზიის მფლობელის ან დაქირავებული სუბიექტის მიერ ლიცენზიის მფლობელის სახსრებით განხორციელებული საბადოს დამუშავების შედეგად წიაღისეულის გარკვეული ოდენობის მოხმარება, მისი პირდაპირი ან გადამუშავების შემდეგ რეალიზაციის მიზნით, საბადოს დამუშავების ხარჯების გაღებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წიაღით სარგებლობის გადასახადის გადახდით. (1.03.2002.N1319)

(10. წიაღის მოპოვება არის უშუალოდ ლიცენზიის მფლობელის ან დაქირავებული სუბიექტის მიერ ლიცენზიის მფლობელის სახსრებით განხორციელებული საბადოს დამუშავების შედეგად გარკვეული ოდენობის წიაღისეულის მოხმარება მისი პირდაპირი ან გადამუშავების შემდეგ რეალიზაციის მიზნით, საბადოს დამუშავების ხარჯების გაღებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელების გადახდით. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

## თავი პირველი

## ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა წიაღის შესახებ

1.საქართველოს კანონმდებლობა წიაღის შესახებ მოიცავს ამ კანონს და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც არეგულირებენ წიაღის,ნებისმიერი სახის სასარგებლო წიაღისეულის, მიწისქვეშა ბუნერივი სიცარიელეების შესწავლასა და გამოყენებას,მომპოვებელ და გადამამუშავებელ წარმოებათა ნარჩენების (მათ შორის გადასახსნელი ქანების) გამოყენების, შენახვისა და დაცვის,აგრეთვე, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცეში წარმოქმნილ ურთიერთობებს.

2. საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს არეგულირებს საქართველოს კანონი ,,ნავთობისა და გაზის შესახებ". *(16.04.99.N1894)*

3. წიაღით სარგებლობის დროს ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლის და ცხოველთა სამყაროს გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა, ხოლო მიწის გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მათ შორის, ტყით და სხვა მცენარეული საფარით დაფარული ფართობების წიაღით სარგებლობისათვის გამოყენების საკითხებს, არეგულირებს ეს კანონი და საქართველოს ტყის კოდექსი. წიაღით სარგებლობის პროცესში ტყისა და სხვა მცენარეული საფარის რესურსის გამოყენების პირობები დგინდება შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. *(22.04.2005 N 1409)*

4. ეს კანონი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტოიაზე.

მუხლი 2. საქართველოს წიაღის სტატუსი

1. საქართველოს წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ თუ ფარულად ხელყოფს წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ასეთი გარიგება კი ბათილია. მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას. *(22.04.2005 N 1409)*

2. წიაღის ის უბნები, რომლებიც გაცემულია ან შეიძლება გაიცეს სარგებლობისათვის, წარმოადგენენ წიაღით სარგებლობის ობიექტებს.

3. საქართველოი წიაღით სარგებლობა ფასიანია.

მუხლი 3. წიაღის სახელმწიფო ფონდი

1. წიაღის სახელმწიფო ფონდს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინეტურ შელფსა, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი, მიუხედავად იმისა, ხდებოდა, თუ მოხდა წიაღით სარგებლობა.

2. წიაღის სახელმწიფო ფონდის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

(„მუხლი 3. წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი

1. წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წიაღი, მიუხედავად იმისა, ხდებოდა, ხდება თუ მოხდება წიაღით სარგებლობა.

2. წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 4. წიაღისეულის ჯგუფები *(22.04.2005 N 1409)*

ეკონომიკური მნიშვნელობისა და კონიუნქტურის გათვალისწინებით წიაღისეული იყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად. სახელმწიფო მნიშვნელობის წიაღისეულის ჯგუფში ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული მნიშვნელობის

წიაღისეული და წიაღით სარგებლობის ობიექტები (საბადოები), რომელთა დამუშავებას სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს და პირდაპირ უკავშირდება გარკვეული სოციალური ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას და განვითარებას. სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის ჯგუფების, აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის წიაღისეულისა და წიაღით სარგებლობის ობიექტების (საბადოების) ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარდგინებით.

(მუხლი 4. წიაღისეულის ჯგუფები

ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, წიაღისეული იყოფა განსაკუთრებული სახელმწიფო, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფებად, რომელთა განსაზღვრის წესსა და ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 5. წიაღით სარგებლობის ობიექტების პირველაღმომჩენის წოდება **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. პირს, რომელიც აღმოაჩენს სამრეწველო მნიშვნელობის მქონე სასარგებლო წიაღისეულის უცნობ საბადოს, აგრეთვე, წიაღის ისეთ უბნებს,რომელთა გამოყენება შესაძლებელია წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებით, მიენიჭება პირველაღმომჩენის წოდება.

2. პირველაღმომჩენად მიჩნეული პირის საავტორო უფლებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პირველაღმომჩენის წოდების მინიჭების წესსა და წახალისების ფორმას ადგენს საქართველოს პრეზიდენტი მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.

## თავი მეორე

## წიაღით სარგებლობა

მუხლი 6. წიაღით სარგებლობა

1. წიაღით სარგებლობა მოიცავს:

ა) წიაღის შესწავლას;

ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას; *(1.03.2002.N1319)*

ბ[1]) სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებას ან სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას; (1.03.2002.N1319)

გ) სამთომომპოვებელ საწარმოთა ნარჩენების გამოყენებას;

დ) მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელეების გამოყენებას, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ისეთ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობასა და ექსპლოატაციას (მათ შორის ნავთობის , გაზის, წარმოების ნარჩენების შესანახად და ჩამდინარე წყლების

ჩასაშვებად), რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან;

ე) გეოლოგიური, მინერალოგიური, პალეონტოლოგიური კოლექციებისა და სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებას.

2. წიაღი სარგებლობაში გაიცემა მხოლოდ სათანადო ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული შემთხვევებისა.

3. ლიცენზიას არ საჭიროებს რეგიონალური და გეოფიზიკური, გეოლოგიური აგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სამუშაოების შესრულება, რომლებიც გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლის, მიწისძვრის პროგნოზირებისა და ვულკანური პროცესების კვლევის, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შექმნისა და გაძღოლის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის კონტროლის, აგრეთვე, ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ იწვევს წიაღის მთლიანობის არსებით დარღვევას.

ასეთი სახის წიაღით სარგებლობა, ამ კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო რეგისტრაციას.

(3. ლიცენზიას არ საჭიროებს რეგიონალური, გეოლოგიური და გეოფიზიკური, გეოლოგიური აგეგმვის, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სამუშაოების შესრულება, რომლებიც გამიზნულია წიაღის საერთო შესწავლის, მიწისძვრის პროგნოზირებისა და ვულკანური პროცესების კვლევის, გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შექმნისა და გაძღოლის, მიწისქვეშა წყლების რეჟიმის კონტროლისათვის, აგრეთვე ყველა სხვა საქმიანობა, რომლებიც არ იწვევს წიაღის მთლიანობის არსებით დარღვევას. წიაღით ასეთი სახის სარგებლობა ექვემდებარება ამ კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად აღრიცხვას. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. ლიცენზია საჭირო არ არის კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში მოსარგებლის მიერ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღისეულის მოპოვებისათვის, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის.

მუხლი 7. სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნი

1. წიაღის უბანი სარგებლობისათვის გადაეცემა სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის სახით.

2. სამთო მინაკუთვნი არის წიაღით სარგებლობის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი, რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს ეძლევა წიაღით სარგებლობის უფლება. სამთო მინაკუთვნი წარმოადგენს ლიცენზიის განუყოფელ ნაწილს და ავტომატურად გაიცემა ლიცენზიასთან ერთად.

(2. სამთო მინაკუთვნი არის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი, რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს ეძლევა წიაღით სარგებლობის უფლება. სამთო მინაკუთვნი ლიცენზიის განუყოფელი ნაწილია და ავტომატურად მასთან ერთად გაიცემა. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. გეოლოგიური მინაკუთვნი წარმოადგენს მხოლოდ შესწავლისათვის გადაცემულ წიაღის უბანს.

4. წიაღის უბანი გაიცემა სამთო მინაკუთვნების სახით, თუ ლიცენზია ანიჭებს მის მფლობელს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავების, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელეების გამოყენების და ისეთ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციის უფლებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავებასთან, აგრეთვე წიაღის იმ ობიექტების შექმნის უფლებას, რომლებიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. წიაღის უბანი სამთო მინაკუთვნის სახით გაიცემა აგრეთვე საბადოს დასამუშავებლად წიაღის ერთდროული შესწავლით.

5. აკრძალულია წიაღით სარგებლობა სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ. მისი საზღვრები შეიცვლება ახალი სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის გამოყოფის საფუძველზე.

(5. აკრძალულია წიაღით სარგებლობა სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის ფარგლების გარეთ. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

6. სამთო მინაკუთვნის საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო უბნის სიდიდე (სიგრძე, სიგანე, სიღრმე), არამედ სამუშაოს ტექნოლოგიური გავლენის ზონები, რაც დაკავშირებულია წიაღის გამოყენებასთან (მისასვლელი და საექსპლოატაციო სამთო გვირაბი, დამცავი მთელანები და სხვა. სამთო მინაკუთვნს უნდა ჰქონდეს შეზღუდვა სიღრმეში).

თუ წიაღის უბანი გადაცემულია მიწისქვეშა წყლების საბადოს დასამუშავებლად, სამთო მინაკუთვნის საზღვრები წიაღში მოიცავს წყალშემცველ ჰორიზონტს და მიწის ზედაპირზე წარმოადგენს სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას. ამ შემთხვევაში მიწის ზედაპირზე სამთო და შესაბამისი მიწის მინაკუთვნის საზღვრები უნდა გადიოდეს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსავლებიდან არანაკლებ 15 მეტრში. სამთო და მიწის მინაკუთვნების ზუსტი საზღვრების დადგენა ხორციელდება ლიცენზირების პროცესში, კონკრეტული სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

7. სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნების საზღვრებს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო). *(16.09.2004 N 447)*

(7. სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნების საზღვრებს ადგენს შესაბამისი ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 8. მიწის მინაკუთვნი

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე განთავსებულ წიაღით სარგებლობის ობიექტებს წიაღით სარგებლობის სახეობათა მიხედვით უწესდებათ მიწის

მინაკუთვნი, რომელიც გამოიყოფა წიაღით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. მიწის მინაკუთვნი მოიცავს დასამუშავებელ საბადოს, მასთან დაკავშირებული წიაღისეულის საწყობებს, ფუჭი ქანის სანაყაროებს, აგრეთვე კუდებისა თუ სხვა ნარჩენების განთავსების ადგილებს და იგი განეკუთვნება სარეკულტივაციო მიწებს. კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მიწის მინაკუთვნის დაწესებისა და მისი ზომების განსაზღვრის საკითხს განიხილავს სამინისტრო. დაწესებული მიწის მინაკუთვნი შეიტანება წიაღის სახელმწიფო ფონდში და აღირიცხება (რეგისტრირდება), როგორც წიაღის ფონდის მიწები. მიწის მინაკუთვნის წიაღის სახელმწიფო ფონდში შეტანა და მისი საჯარო რეესტრში აღრიცხვა (რეგისტრაცია) ხორციელდება სამინისტროს მიმართვისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. წიაღის ფონდის მიწებზე შეიძლება წარმოებდეს ან დროებით არ წარმოებდეს წიაღით სარგებლობა. ამ კანონის 39-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია ტექნოგენური საბადოთი დაფარული მიწის ფართობების განაშენიანება, ხოლო წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების დროებითი განაშენიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროის მოცემულ მონაკვეთში იგი არ გამოიყენება წიაღით სარგებლობისათვის. ასეთ შემთხვევაში, როცა რომელიმე ობიექტზე ან ობიექტის ნაწილზე ჯერ არ დაწყებულა წიაღით სარგებლობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით შესაძლებელია მიწის შესაბამისი ფართობით სარგებლობა ერთ წლამდე ვადით, ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა სამინისტროსთან, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. მიწის მინაკუთვნის განკარგვა და გამოყენება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი ნორმებისა და წესების შესაბამისად. *(7.12.2010. N3890)*

(1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწებზე განთავსებულ წიაღით სარგებლობის ობიექტებს წიაღით სარგებლობის სახეობების მიხედვით უწესდებათ მიწის მინაკუთვნი, რომელიც გამოიყოფა წიაღით სარგებლობის უზრუნველსაყოფად. მიწის მინაკუთვნი მოიცავს დასამუშავებელ საბადოს, მასთან დაკავშირებული წიაღისეულის საწყობებს, ფუჭი ქანის სანაყაროებს, აგრეთვე კუდებისა თუ სხვა ნარჩენების განთავსების ადგილებს და განეკუთვნება სარეკულტივაციო მიწებს. კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მიწის მინაკუთვნის დაწესების და მისი ზომების განსაზღვრის საკითხს განიხილავს შესაბამისი ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. დაწესებული მიწის მინაკუთვნი, როგორც წიაღის ფონდის მიწები, შეიტანება წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდის მართვის წესის შესაბამისად და აღირიცხება საჯარო რეესტრში. წიაღის ფონდის მიწებზე შეიძლება წარმოებდეს ან დროებით არ წარმოებდეს წიაღით სარგებლობა. ამ კანონის 39-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია ტექნოგენური საბადოთი დაფარული მიწის ფართობების განაშენიანება, ხოლო წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების დროებითი განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროის მოცემულ მონაკვეთში ისინი არ გამოიყენება წიაღით სარგებლობისათვის. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ობიექტზე ან ობიექტის ნაწილზე ჯერ არ დაწყებულა წიაღით სარგებლობა, შესაძლებელია მიწის შესაბამისი ფართობით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა 1 წლამდე ვადით, ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. აკრძალულია

წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან (შემდგომ – სამინისტრო) შეთანხმების, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. მიწის მინაკუთვნის ზომებსა და მისი გამოყენების პირობებს კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით განსაზღვრავს სამინისტრო. *(23.06.2005 N 1765)*

(2. მიწის მინაკუთვნის ზომებს და მისი გამოყენების პირობებს კონკრეტული გეოლოგიური და სამთო-ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით განსაზღვრავს შესაბამისი ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის არსებობის ან აღმოჩენის შემთხვევაში, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემისას პრეტენდენტებს შორის თანაბარი პირობების არსებობისას მიწის მესაკუთრე სარგებლობს წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მიღების უპირატესი უფლებით. *(23.06.2005 N 1765)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

**4. ამოღებულია** *(23.06.2005 N 1765)*

5. წიაღით სარგებლობის დასრულებისას ან სხვა მიზეზით წიაღით სარგებლობის შეწყვეტისას, თუ არ არსებობს წიაღით შემდგომი სარგებლობის პერსპექტივა, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას მიწის მინაკუთვნის გაუქმებისა და მიწის მესაკუთრისათვის რეკულტივირებული სახით დაბრუნების შესახებ. სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება ეკისრება წიაღით მოსარგებლეს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*(1.03.2002.N1319)*

(5. წიაღით სარგებლობის დასრულებისას ან წიაღით სარგებლობის სხვა მიზეზით შეწყვეტისას, თუ არ არსებობს წიაღით შემდგომი სარგებლობის პერსპექტივა, სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება ეკისრება წიაღით მოსარგებლეს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 9. წიაღით სარგებლობის ლიცენზირება

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზია არის ამ ლიცენზიით განსაზღვრული სამთო, გეოლოგიური და მიწის მინაკუთვნების ფარგლებში წიაღით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი. ლიცენზიის გაუქმება ავტომატურად იწვევს ამ ლიცენზიით გაცემულ სამთო, გეოლოგიურ და მიწის მინაკუთვნებზე წიაღით მოსარგებლის უფლებების გაუქმებას. *(1.03.2002)*

(1. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ლიცენზირების საკითხები რეგულირდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა პირადად წიაღით მოსარგებლეზე, რომელსაც ეკრძალება ლიცენზიის გასხვისება. ლიცენზიის გადაფორმება უფლებამონაცვლე პირზე ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტის არსებობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ლიცენზიის ახალ მფლობელს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ენიჭება სრული უფლებები და ეკისრება ვალდებულებები წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც განისაზღვრა ამ ლიცენზიით.*(1.03.2002.N1319)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3. წიაღის გამოყენების სახეების შესაბამისად ლიცენზია გაიცემა: **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ა) წიაღის შესასწავლად;

ბ) სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დასამუშავებლად;

გ) სასარგებლო წიაღისეულის ბუნებრივი ან/და ტექნოგენური საბადოს დასამუშავებლად, ბუნებრივი და ტექნოგენური საბადოების წინასწარი ან ერთდროული შესწავლით;;

დ) სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად;

ე)სამთომომპოვებელი და მასთან დაკავშირებული მრეწველობის ნარჩენების გადასამუშავებლად და გამოსაყენებლად;

ვ)ბუნერივი სიცარიელეების, იმ მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან და წიაღის იმ ობიექტების შექმნასთან, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს.

4. წიაღის შესწავლის ლიცენზია უფლებას იძლევა შეისწავლოს წიაღი შესაბამისი გეოლოგიური მინაკუთვნის ფარგლებში მხოლოდ მასში მითითებული მიმართულებით და მის მფლობელს ანიჭებს თანაბარ პირობებში წიაღით შემდგომი სარგებლობისათვის ლიცენზიის მიღების პრიორიტეტულ უფლებას. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

5. სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დამუშავების ლიცენზია გამოყოფილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებში იძლევა განსაზღვრული საბადოს დამუშავებისა და წიაღის დამატებითი შესწავლის უფლებას. *(1.03.2002)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

6. სამთომომპოვებელი საწარმოებისა და მასთან დაკვშირებულ საწარმოთა ნარჩენების გამოყენების ლიცენზია იძლევა ამ ნარჩენების გამოყენების უფლებას. სამთო-მომპოვებელ და მასთან დაკავშირებულ სხვა გადამამუშავებელ საწარმოთა ნარჩენებით სარგებლობა შესაძლებელია განხორციელდეს წიაღით სარგებლობის ცალკე ლიცენზიით. *(1.03.2002)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

7. წიაღით იმ მიზნით სარგებლობის ლიცენზია, რომელიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან (ნავთობისა და გაზის მიწისქვეშა შენახვის, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის, დაბინძურებული წყლების ჩადინების, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელეების გამოყენების და სხვა საჭიროებისათვის), იძლევა წიაღის უბნებით სარგებლობის უფლებას ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის ფარგლებში.
წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა მავნე ნივთიერებათა და წარმოების ნარჩენების ჩასამარხად, აგრეთვე ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად, დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპეციალური მოთხოვნილებისა და პირობების დაცვით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

8. ნებადართულია ერთდროულად წიაღით სხვადასხვა სახის სარგებლობის კომპლექსური ლიცენზიის (შესწავლა, დამუშავება*(1.03.2002.N1319)* სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება,სამთამადნო და მასთან დაკავშირებული მრეწველობის ნარჩენების გადამუშავება და ა.შ.) გაცემა.

(8. ნებადართულია ერთდროულად წიაღით სხვადასხვა სახის სარგებლობის (შესწავლა, დამუშავება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება, სამთამადნო და მასთან დაკავშირებული მრეწველობის ნარჩენების გადამუშავება და ა. შ.) ლიცენზიის გაცემა. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

9. ლიცენზია სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად, აგრეთვე ბუნებრივი სიცარიელეებისა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის მოპოვებასთან, გაიცემა მხოლოდ წიაღის იმ უბნებზე, რომელთა შესახებაც გეოლოგიურმა ინფორმაციამ გაიარა წიაღის შესახებ სახელმწიფო ექსპერტიზა, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტებში აღნიშნული შემთხვევისა.**ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

10. წიაღის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მიღებისას მცირე მასშტაბის (ფართობი ტოპოგრაფიულ რუკაზე 10 ჰა-მდე, წიაღისეულის მოცულობით 1 მლნ მ$^3$-მდე ან 500 000 ტ-მდე, მიწისქვეშა წყლები დღე-ღამეში 20 მ$^3$-მდე, აირები დღე-ღამეში 2 ტ-მდე) და მარტივ სამთო-ტექნიკურ პირობებში წიაღით მოსარგებლეს უფლება აქვს ლიცენზიის შესაბამისად განახორციელოს წიაღისეულის მოპოვება წიაღის წინასწარი შესწავლისა და ინფორმაციის სახელმწიფო ექსპერტიზაზე გატარების გარეშე, მოპოვებითი სამუშაოების განვითარების გეგმის შესაბამისად წიაღის შესწავლის, სამარკშეიდერო-გეოლოგიური დოკუმენტაციისა და სათანადო ინფორმაციის სამინისტროში ყოველწლიურად წარდგენის პირობით. სხვა შემთხვევებში წიაღის წინასწარი გეოლოგიური შესწავლისა და შესაბამისი ინფორმაციის სახელმწიფო ექსპერტიზაზე წარდგენის ვადები და პირობები განისაზღვრება ლიცენზიით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

11. სასარგებლო წიაღისეულის ერთი საბადო წიაღით რამდენიმე მოსარგებლემ უნდა დაამუშაოს შეთანხმებული ტექნოლოგიური სქემით, რომელიც გამორიცხავს მის არარაციონალურ გამოყენებას.

ასეთ შემთხვევაში წიაღით მოსარგებლეთა კოორდინაცია მათი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება დაეკისროს ერთ - ერთ საწარმოს. აღნიშული პირობები ფიქსირდება ლიცენზიაში.

(11. სასარგებლო წიაღისეულის ერთი საბადო წიაღით რამდენიმე მოსარგებლემ უნდა დაამუშაოს შეთანხმებული ტექნოლოგიური სქემით, რომელიც გამორიცხავს მის არარაციონალურ გამოყენებას. აღნიშნული პირობები ლიცენზიის გამცემის მიერ ფიქსირდება ლიცენზიაში და არის სალიცენზიო პირობა. თუ დადგენილი წესით ლიცენზიის ნაწილის გადაცემისას ან წიაღით სარგებლობისას გამოვლინდება ერთიანი ტექნოლოგიური სქემით წიაღით სარგებლობის აუცილებლობა, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელს განუსაზღვროს შეთანხმებული ტექნოლოგიური სქემის გონივრულ ვადაში წარმოდგენის ვალდებულება. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ტექნოლოგიური სქემის არსებობისას წიაღით მოსარგებლეთა კოორდინაცია ან ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, მათი შეთანხმების საფუძველზე, დააკისროს ლიცენზიის მფლობელებს ან ერთ-ერთ მფლობელს. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

12. ერთი და იგივე გეოლოგიური მინაკუთვნის საზღვრებში შეიძლება ჩატარდეს წიაღის შესწავლის სამუშაოები შესწავლის სხვადასხვა მიმართულების ლიცენზიებით გეოლოგიური მინაკუთვნის მფლობელთან შეთანხმებით. გეოლოგიურ მინაკუთვნში არ ჩაირთვება მის გაცემამდე დაძიებული საბადოები და მათი დამუშავებისათვის ცალკე ლიცენზიით გაიცემა სამთო მინაკუთვნები შესაბამისი უფლებებით. სხვადასხვა ლიცენზიით.

13. სამთო მინაკუთვნის ფარგლებში წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობა სხვა პირებმა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის თანხმობით მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. წიაღით სარგებლობის ლიცენზია ამტკიცებს წიაღით სარგებლობის პირობებსა და ფორმას, მათ შორის კონცესიის პირობებს. იგი შეიძლება შეივსოს სხვა პირობებითაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და ამ კანონს. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

15. ლიცენზია ძალაში შედის მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

16. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია იძლევა საბადოს დამუშავების შედეგად წიაღიდან ამოღებული განსაზღვრული ოდენობის წიაღისეულის პირდაპირი ან გადამუშავების შემდეგ რეალიზაციის უფლებას. ასეთი ლიცენზიებით სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნები არ განისაზღვრება და ლიცენზიასთან ერთად არ გაიცემა. *(1.03.2002.N1319)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

17. აკრძალულია მდინარეთა კალაპოტებიდან ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვება ან მათ მოპოვებაზე წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა ზღვის სანაპირო დაცვის ზოლის საზღვრებში და იმ შემთხვევაში, როდესაც ინერტული მასალის მოპოვება დაარღვევს მდინარის კალაპოტისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების (კაშხალი, ხიდი, საყრდენი კედელი და ა.შ.) მდგრადობას, აგრეთვე კაშხლებიდან იმ მონაკვეთამდე, სადაც

მდინარეს არ გააჩნია სათანადო რაოდენობის მყარი ნატანით მკვებავი დამატებითი შენაკადი. აკრძალულია აგრეთვე წიაღით სარგებლობა ამ მონაკვეთების მიმდებარე ჭალისზედა ტერასებზე მდინარის კალაპოტიდან 50 მეტრის ფარგლებში. მდინარის სხვა მონაკვეთებზე და მდინარეზე მოწყობილი წყალსაცავებიდან ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვება არ იკრძალება. *(1.03.2002)*

მუხლი 10. წიაღით სარგებლობის ვადები *(22.04.2005 N 1409)*

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზია ვადიანია, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

2. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადები წიაღით სარგებლობის სახეების მიხედვით განისაზღვრება:

ა) ენერგეტიკული დანიშნულების წიაღისეულისათვის – 45 წლამდე;

ბ) შავი და ფერადი ლითონების მადნებისათვის – 40 წლამდე;

გ) სამშენებლო მასალებისათვის – 30 წლამდე; *(20.11.2009 N 2114)*

დ) სხვა არამადნეული წიაღისეულისათვის – 30 წლამდე; *(20.11.2009 N 2114)*

ე) მიწისქვეშა წყლებისათვის და ბუნებრივი არასაწვავი აირებისათვის – 25 წლამდე;

ვ) წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი ნაგებობების მშენებლობისათვის – 45 წლამდე;

ზ) წიაღის შესწავლისათვის – 5 წლამდე.

(2. ლიცენზიის ვადები განისაზღვრება წიაღით სარგებლობის სახეების მიხედვით:

ა) ენერგეტიკული დანიშნულების წიაღისეულისათვის – 45 წლამდე;

ბ) შავი და ფერადი ლითონების მადნებისათვის – 40 წლამდე;

გ) სამშენებლო მასალებისათვის – 30 წლამდე;

დ) სხვა არამადნეული წიაღისეულისათვის – 30 წლამდე;

ე) მიწისქვეშა წყლებისათვის და ბუნებრივი არასაწვავი აირებისათვის – 25 წლამდე;

ვ) წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი ნაგებობების მშენებლობისათვის – 45 წლამდე;

ზ) წიაღის შესწავლისათვის – 5 წლამდე. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადა აითვლება ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.**ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

**4. ამოღებულია** *(25.11.2005 N 2148)*

**5. ამოღებულია** *(25.11.2005 N 2148)*

6. ცალკეულ შემთხვევებში წიაღით სარგებლობა შეიძლება იყოს უვადოც მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების სამარხთა მოსაწყობად, აგრეთვე სხვადასხვა სახის მიწისქვეშა ნაგებობების ექსპლუატაციისათვის, თუ იგი დაკავშირებულია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და აქვს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ მუხლში აღნიშნული ობიექტების განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი

მნიშვნელობის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, რის შემდეგაც შესაბამის ლიცენზიას გასცემს სამინისტრო. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 11. წიაღით მოსარგებლე

1. წიაღით მოსარგებლე შეიძლება იყოს მხოლოდ მეწარმე საკუთრების ფორმის განურჩევლად, მათ შორის სხვა სახელმწიფო იურიდიული და ფიზიკური პირი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(1. წიაღით მოსარგებლე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. წიაღით მოსარგებლენი სარგებლობენ ლიცენზიაში ჩამოთვლილი ყველა უფლებით და პასუხს აგებენ მისი პირობების დაცვაზე.

მუხლი 12. წიაღით მოსარგებლის უფლებები

1. წიაღით მოსარგებლეს უფლება აქვს: *(25.11.2005 N 2148)*

ა) ისარგებლოს წიაღისეულით ლიცენზიის შესაბამისად მისთვის გამოყოფილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებში;

ბ) გამოყოფილი მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის აწარმოოს მეურნეობა მისთვის სასურველი ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

გ) გამოიყენოს თავისი შრომის შედეგები (მათ შორის მოპოვებული წიაღისეული) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ისარგებლოს წიაღით ისეთი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, რომელიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

დ) ისარგებლოს მოპოვებული წიაღისეულის და მასთან დაკავშირებული გადამამუშავებელი წარმოების ნარჩენებით, თუ ასეთი რამ შეზღუდული არ არის ლიცენზიით;

ე) მისთვის ლიცენზიით გამოყოფილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებში საკუთარი სახსრებით შეისწავლოს წიაღი დამატებითი ლიცენზიის გარეშე;

ვ) მიმართოს სამინისტროს ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესაცვლელად, თუკი წარმოიქმნა არსებითად განსხვავებული მდგომარეობა.

(ვ) მიმართოს ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესაცვლელად, თუ წარმოიქმნა არსებითად განსხვავებული მდგომარეობა. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. თუ წიაღით მოსარგებლე არ ეთანხმება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის, შეჩერების ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 13. წიაღით მოსარგებლის მოვალეობები

წიაღით მოსარგებლე ვალდებულია:

ისარგებლოს წიაღით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის; უზრუნველყოს წიაღისეული რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენება, გარემოსა და წიაღის დაცვა;

განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები;

უზრუნველყოს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებისას წიაღის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყის, დაცული ტერიტორიების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა და სხვადასხვა დანიშნულების შენობა - ნაგებობათა მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა დადგენილი ნორმების მიხედვით;

შეისწავლოს წიაღი კომპლექსურად, უზრუნველყოს შესაბამისი გეოლოგიური,სამარკშეიდერო და სხვა დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

წარმოუდგინოს ბუნებრივი რესურსების შესახებ და წიაღის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ფონდებს ნებისმიერი დოკუმენტაცია ძაძიებული, მოპოვებული და წიაღში დარჩენილი მარაგების, წიაღისეულში არსებული კომპონენტების, აგრეთვე, წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების შესახებ;

უზრუნველყოს საძიებო სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება (კონსერვაცია), რომ შესაძლებელი გახდეს მომავალში მათი გამოყენება, გამოყენებისათვის უვარგისი კი გაანადგუროს დადგენილი წესით; შეაჩეროს სამუშაოები წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენისას და დაუყვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში მოიყვანოს წიაღით სარგებლობის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთები უსაფრთხო და გამოსადეგ მდგომარეობაში საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით;

მიწისქვეშა წყლების (მათ შორის სადრენაჟო წყლები) მოპოვებისას წარუდგინოს მონაცემები სამინისტროს და დეპარტამენტს დადგენილი წესით;

შეასრულოს სამინისტროსა და ინსპექციის ინსტრუქციები წიაღის დაცვისა და სამუშაოთა უსაფრთხო წესების შესახებ;

წიაღით მოსარგებლე პასუხს აგებს ამ კანონით საწარმოს ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დასრულებამდე.

(მუხლი 13. წიაღით მოსარგებლის მოვალეობები (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წიაღით მოსარგებლე ვალდებულია:

ა) ისარგებლოს წიაღით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის;

ბ) უზრუნველყოს წიაღისეული რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენება, გარემოსა და წიაღის დაცვა;

გ) განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები;

დ) უზრუნველყოს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოებისას წიაღის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, ტყის, დაცული ტერიტორიების, ისტორიისა და კულტურის ძეგლებისა და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა დადგენილი ნორმების მიხედვით;

ე) შეისწავლოს წიაღი კომპლექსურად, უზრუნველყოს შესაბამისი გეოლოგიური, სამარკშეიდერო და სხვა დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;

ვ) წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს წარუდგინოს ნებისმიერი დოკუმენტი დაძიებული, მოპოვებული და წიაღში დარჩენილი მარაგების, წიაღისეულში არსებული კომპონენტების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების შესახებ;

ზ) უზრუნველყოს საძიებო სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება (კონსერვაცია), რომ შესაძლებელი იყოს მომავალში მათი გამოყენება, გამოყენებისათვის უვარგისი კი გაანადგუროს დადგენილი წესით;

თ) შეაჩეროს სამუშაოები წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ი) დაიცვას და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიყვანოს წიაღით სარგებლობის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთები უსაფრთხო და გამოსადეგ მდგომარეობაში;

კ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ აღმოჩნდა სასარგებლო წიაღისეულისა და მისი თანმხლები ძვირფასი კომპონენტების ახალი სახეობები ან სხვაობა სასარგებლო წიაღისეულის დამტკიცებულ და რეალურად არსებულ მარაგებს შორის, ან შეიცვალა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა პირობები, სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მარაგები ექვემდებარება ხელახალ დამტკიცებას.)

მუხლი 14. წიაღით სარგებლობის უფლების ძალადაკარგულად მიჩნევა

წიაღით სარგებლობის უფლება ძალადაკარგულად მიიჩნევა:

ა) კონკურსის ან აუქციონის პირობების უხეში დარღვევისას;

ბ) პრედენტენტის მიერ ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებზე უარის თქმისას;

გ) „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევისას; *(8.05.2012 N 6154).*

დ) წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების უკანონო ლიბერალიზაციისა და გადასახადის შემცირების მიზნით გარიგების ფაქტის დადგენისას;

ე) რომელიმე პრეტენდენტისათვის უკანონო შეღავათების მინიჭებისას;

ვ) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას.

(მუხლი 14. წიაღით სარგებლობის უფლების ძალადაკარგულად მიჩნევა (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წიაღით სარგებლობის უფლება ძალადაკარგულად შეიძლება იქნეს მიჩნეული:

ა) აუქციონის პირობების უხეში დარღვევისას;

ბ) ლიცენზიასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდაზე უარის თქმისას;

გ) „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევისას;

დ) სალიცენზიო პირობების უკანონო ლიბერალიზაციისა და გადასახდელების შემცირების მიზნით გარიგების ფაქტის დადგენისას;

ე) რომელიმე პრეტენდენტისათვის უკანონო შეღავათების მინიჭებისას;

ვ) სამთომომპოვებელი საწარმოს კონსერვაციისას ან სამთომომპოვებელი საწარმოსა და ჭაბურღილების კონსერვაციის პირობების დარღვევისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დაზიანება;

ზ) თუ წიაღით სარგებლობის შედეგად წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მოქმედების ზონაში მომუშავე ან მცხოვრები ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას;

თ) თუ წიაღით მოსარგებლე არ შეუდგა წიაღით სარგებლობას ლიცენზიით დადგენილ ვადებში და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას.

2. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტისას, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი კონსერვაცია დადგენილი წესით. ამ მიზნით ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მფლობელს იმავდროულად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, ხოლო ლიკვიდაციის ან კონსერვაციის ხარჯები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება წიაღით მოსარგებლეს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გარემოება არ არის გამოწვეული წიაღით მოსარგებლის მიერ, წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტისას სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი კონსერვაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს გეოლოგიური, სამარკშეიდერო ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სამუშაოთა დამთავრების მომენტში არსებულ სიტუაციას, წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში ასახვის მიზნით გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს.

5. კონსერვაციის დრო შედის ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში.

6. ობიექტური გარემოებების არსებობისას ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დროებით შეაჩეროს სამუშაოები და დადგენილი დროით დააკონსერვოს სამთომომპოვებელი საწარმო ან განახორციელოს მისი ლიკვიდაცია ლიცენზიის გამცემის თანხმობის შემთხვევაში. კონსერვაციის დრო შედის ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში.

7. ლიცენზიის გაუქმება ავტომატურად იწვევს სამთო, გეოლოგიურ და მიწის მინაკუთვნებზე ლიცენზიის მფლობელის უფლებათა გაუქმებას. წიაღით ყოფილ მოსარგებლეს უფლება აქვს, სამთო, გეოლოგიურ და მიწის მინაკუთვნებზე განთავსებული ის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობები, რომელთა მოშლაც საფრთხეს არ უქმნის წიაღის დაცვას, დადგენილ ვადებში გაასხვისოს წიაღით ახალ მოსარგებლეზე ან განახორციელოს მათი დემონტაჟი, ხოლო თუ მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების დემონტაჟი საფრთხეს უქმნის წიაღის დაცვას – განახორციელოს მათი ფინანსური და ფიზიკური ლიკვიდაცია არსებული წესებისა და ნორმების შესაბამისად. ნებისმიერი სხვა ქმედება ჩაითვლება წიაღზე სახელმწიფო საკუთრების უფლების ხელყოფად და გამოიწვევს წიაღით ყოფილი მოსარგებლის პასუხისმგებლობას. წიაღით ყოფილ მოსარგებლეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ იგი ფინანსურად ლიკვიდირებულ ნაგებობას ფიზიკური ლიკვიდაციის გარეშე სახელმწიფოს თანხმობით უსასყიდლოდ გადასცემს სახელმწიფოს. ამ წესით სახელმწიფო საკუთრებაში გადასული ობიექტებით სარგებლობის უფლება წიაღით ახალ მოსარგებლეზე გაიცემა ლიცენზიით, სამთო და მიწის მინაკუთვნების გამოყოფასთან ერთად.)

მუხლი 15. უარი წიაღით სარგებლობის უფლების გაცემაზე **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

წიაღით სარგებლობის უფლება არ გაიცემა:

ა) თუ მის მიღებაზე განაცხადი შეტანილია დადგენილი მოთხოვნილების დარღვევით;

ბ) თუ განმცხადებელმა თავისი თავის შესახებ წარადგინა არასწორი მონაცემები;

გ) თუ განმცხადებელს არ წარუდგენია ან არ შეუძლია წარადგინოს საბუთი, რომ მას აქვს ან ექნება აუცილებელი ფინანსური ან ტექნიკური შესაძლებლობა სამუშაოს უსაფრთხო და ეფექტური წარმოებისათვის.

დ) თუ განმცხადებელს არ წარუდგენია საქმიანობაზე გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) ნებართვა.

მუხლი 16. წიაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, შეწყვეტა ან შეჩერება **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. წიაღით სარგებლობის უფლება წყდება:

ლიცენზიით დადგენილი ვადის გასვლისას;

ლიცენზიის მფლობელის მიერ წიაღით სარგებლობაზე უარის თქმისას.

2. სამთომომპოვებელი საწარმოს ხანგრძლივი დროით კონსერვაციისას ან კონსერვაციის პირობების დარღვევისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოს დაზიანება, სამინისტროს შეუძლია გააუქმოს გაცემული ლიცენზია.

3. წიაღით სარგებლობა ვადაზე ადრე უნდა შეიზღუდოს, შეჩერდეს ან შეწყდეს: ა) ...

ბ) თუ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მოქმედების ზონაში მომუშავე ან მცხოვრები ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შეექმნა უშუალო საფრთხე;

გ) თუ წიაღის მოსარგებლემ დაარღვია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წიაღით სარგებლობისა და დაცვის, სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, აგრეთვე, გარემოს დაცვის წესები;

დ) საგანგებო მდგომარეობის (სტიქიური უბედურება,სამხედრო მოქმედება და სხვ) შექმნის პირობებში;

ე) თუ მოსარგებლე არ შეუდგა წიაღით სარგებლობას ლიცენზიით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნილების შესაბამისად;

ვ) იმ საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომელზეც გაცემული იყო ლიცენზია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ბ)" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს წიაღით სარგებლობა და წიაღით მოსარგებლეს გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა)", "გ)", "ე)" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება სამი თვის გასვლიდან მას შემდეგ, რაც წიაღით მოსარგებლეს წერილობით შეატყობინებენ მის მიერ დაშვებული დარღვევებისა და ამ დარღვევების აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გაუტარებლობის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "დ)" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წიაღით სარგებლობა უნდა შეწყდეს ამ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობების წარმოშობისთანავე.

7. ამ მუხლის მე-3 პენქტის "ა)", "ბ)", "გ)" ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევაში წიაღით სარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო ან ინსპექცია სამინისტროსთან შეთანხმებით, დანარჩენ შემთხვევაში კი ("ე)" და "ვ)" ქვეპუნქტები) სამინისტრო.

8. წიაღით სარგებლობის უფლება შეიძლება ვადამდე ადრე შეწყდეს წიაღით მოსარგებლის ინიციატივით, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს სულ მცირე ექვსი თვით ადრე.

9. წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტისას ან დროებით შეჩერებისას უნდა მოხდეს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან სხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობის სრული ან ნაწილობრივი კონსერვაცია.

10. სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს სამთო გვირაბები, მიწისქვეშა ნაგებობანი და ჭაბურღილები მოყვანილ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომ საფრთხე არ შეექმნას მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივ გარემოს, აგრეთვე, არსებულ შენობებსა და ნაგებობებს. სრული ლიკვიდაციის დროს უნდა განხორციელდეს სარეკულტივაციო ღონისძიებები.

11. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს გეოლოგიური, სამარკშეიდერო ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სამუშაოთა დასრულების მომენტში არსეუბულ სიტუაციას, გადაეცემა წიაღის შესახებ სახელმწიფო საინფორმაციო ფონდს.

12. სასარგებლო წიაღისეული საწარმოს ან მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაცია ან კონსერვაცია დასრულებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ინსპექცია ხელს მოაწერს სათანადო აქტს.

13. წიაღით სარგებლობის უფლების ვადამდე ადრე შეწყვეტის დროს საწარმოს ლიკვიდაცია ან კონსერვაცია წარმოებს მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით. საწარმოს ლიკვიდაციის ან კონსერვაციის ხარჯები ეკისრება წიაღით მრსარგებლეს, თუ წიაღით სარგებლობა შეწყვეტილია ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა)", "ბ)", "გ)" და "ვ)" ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზებით ან წიაღით მოსარგებლის ინიციატივით. ასეთ შემთხვევებში წიაღით მოსარგებლეს არ აუნაზღაურდება წიაღით სარგებლობის უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯები.*(1.03.2002.N1319)*

14. საწარმოს კონსერვაციისა და ლიკვიდაციის ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო, თუ წიაღით სარგებლობა შეწყდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ბ)" ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზებით საწარმოს უდანაშაულობის გამო, აგრეთვე ამ მუხლის მე-3 პუნქტის "დ)" ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზებით.

15. იმ შემთხვევაში, თუ აღმოიფხვრა წიაღით სარგებლობის უფლების შეჩერების ან შეზღუდვის გამომწვევი ვითარება და პირობები, ეს უფლება შეიძლება აღდგენილ იქნეს სრული მოცულობით. ამასთან ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც წიაღით სარგებლობა შეჩერებული იყო, არ შევა ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში, თუ შეჩერება ან შეზღუდვა წიაღით მოსარგებლის მიზეზით არ იყო გამოწვეული.

16. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ აღმოჩნდა სასარგებლო წიაღისეულის და მისი თანმხლები ძვირფასი კომპონენტების ახალი სახეობანი,ან სხვაობა დამტკიცებულსა და რეალურად არსებულ სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს შორის, ან შეიცვალა წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა პირობები, უნდა ჩატარდეს გელოგიური მასალის სახელმწიფო ექსპერტიზა და გადაისინჯოს ლიცენზიის, მათ შორის გადასახადების, პირობები.

17. სასარგებლო წიაღისეულის რეალიზებასთან დაკავშირებული პირობების შეცვლის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დროებით შეაჩეროს სამუშაო და დადგენილი დროით დააკონსერვოს სამთომომპოვებელი საწარმო ან მოახდინოს მისი ლიკვიდაცია სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში.

კონსერვაციის დრო შედის ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში.

18. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის, შეჩერების ან შეზღუდვის სხვა საფუძვლებიც.

19. წიაღით სარგებლობა შეიძლება შეზღუდოს ან აკრძალოს საქართველოს პრეზიდენტმა მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით ეროვნული უშიშროების, ბუნებრივი გარემოს ან ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის მიზნით.

20. ლიცენზიის გაუქმება ავტომატურად იწვევს მისი მფლობელის უფლებათა გაუქმებას სამთო, გეოლოგიურ და მიწის მინაკუთვნებზე. წიაღით ყოფილ მოსარგებლეს უფლება აქვს სამთო, გეოლოგიურ და მიწის მინაკუთვნებზე განთავსებული ის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობები, რომელთა მოშლა საფრთხეს არ უქმნის წიაღის დაცვას, დადგენილ ვადებში გაასხვისოს წიაღით ახალ მოსარგებლეზე ან განახორციელოს დემონტაჟი;

თუ მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების დემონტაჟი საფრთხეს უქმნის წიაღის დაცვას, განახორციელოს მათი ფინანსური და ფიზიკური ლიკვიდაცია არსებული წესებისა და ნორმების შესაბამისად სამინისტროსათვის სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით. ნებისმიერი სხვა ქმედება ჩაითვლება წიაღზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების

ხელყოფად და გამოიწვევს წიაღით ყოფილი მოსარგებლის პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა არ დგება, თუ წიაღით ყოფილი მოსარგებლე ფინანსურად ლიკვიდირებულ ნაგებობას ფიზიკური ლიკვიდაციის გარეშე სახელმწიფოს თანხმობით უსასყიდლოდ გადასცემს სახელმწიფოს. ამ წესით სახელმწიფო საკუთრებაში გადასული ობიექტებით სარგებლობის უფლება წიაღით ახალ მოსარგებლეზე გაიცემა ლიცენზიით, სამთო და მიწის მინაკუთვნების გამოყოფასთან ერთად.*(1.03.2002.N1319)*

მუხლი 17. ლიცენზიის გაცემის წესი

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა კონკურსით და აუქციონით.

2. წიაღით სარგებლობის კონკრეტულ ობიექტებზე კონკურსის და აუქციონის ჩატარების ვადას, წესსა და პირობებს განსაზღვრავს სამინისტრო.

3. წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით. ამასთან, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოპოვებით დაინტერესებულმა სუბიექტმა სამინისტროს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელშიც დამატებით აღინიშნება: *(23.06.2005 N 1765)*

ა) განმცხადებელი საწარმოს მისამართი, მისი სამეურნეო ურთიერთობები საწარმოო და საფინანსო პარტნიორებთან;

ბ) მონაცემები განმცხადებელი საწარმოს ხელმძღვანელის ან მფლობელის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ საწარმოს ლიცენზიის მიღებისას;

გ) განმცხადებელი საწარმოს ფინანსური შესაძლებლობანი;

დ) განმცხადებელი საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ საწარმოთა შესაძლებლობანი, რომლებიც მიზიდული არიან როგორც მენარდეები; ინფორმაცია განმცხადებელი საწარმოს განვლილი

საქმიანობების შესახებ, იმ სახელმწიფოთა სიის ჩათვლით, სადაც იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქმიანობდა;

ე) განმცხადებელი საწარმოს წინადადებანი წიაღით სარგებლობის პირობების შესახებ;

ვ) წიაღის შესახებ ინფორმაციის ფლობის სამართლებრივი ასპექტები

4. საკონკურსო სისტემის დროს გამარჯვებულად ითვლება ის განმცხადებელი, რომელიც პასუხობს კონკურსის პირობებს და წარმოადგენს წიაღისა და გარემოს დაცვის მოთხოვნათა შესაბამის, ეკონომიკურად მისაღებ და ყველაზე მეტად გამართლებულ ტექნიკურ გადაწყვეტას. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსზე შემოვიდა მხოლოდ ერთი განცხადება, წიაღით სარგებლობის უფლების ლიცენზია შეიძლება მიეცეს მას გამოცხადებული კონკურსის პირობების საფუძველზე.

კონკურსი ჩაითვლება ჩაშლილად, თუ არც ერთი პრეტედენტი არ პასუხობს წამოყენებულ პირობებს. კონკურსის მონაწილეებს გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.

5. ლიცენზიის მიღების სააუქციონო სისტემის დროს გამარჯვებულად ჩაითვლება ის პრედენტენტი, რომელიც პასუხობს აუქციონის პირობებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს წიაღით სარგებლობის (ლიცენზიის) მისაღებად.

6. აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები თანაბრად აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

(მუხლი 17. ლიცენზიის გაცემის წესი

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 18. სალიცენზიო მოსაკრებელი **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. სალიცენზიო მოსაკრებელი არის ერთჯერადი გადასახადი. იგი შედგება წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე კონკურსისა და აუქციონის მომზადებისათვის საჭირო საორგანიზაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯებისაგან (საკონკურსო ან სააუქციონო მოსაკრებელი) და წიაღით სარგებლობის უფლების მოსაკრებლისაგან. კონკურსისა და აუქციონის თითოეული მონაწილე საკონკურსო ან სააუქციონო მოსაკრებელს იხდის ცალ-ცალკე. ამ თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სამინისტროს წარედგინება კონკურსის ან აუქციონის ჩატარებამდე ათი დღით ადრე. წიაღით სარგებლობის უფლების მოსაკრებელს იხდის მხოლოდ კონკურსში ან აუქციონზე გამარჯვებული მონაწილე. სალიცენზიო მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონით დადგენილი წესით. *(29.12.2004 N 859)*

2. სალიცენზიო მოსაკრებელი განკუთვნილია ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად და დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მუხლი 19. ლიცენზიის გაფორმების წესი *(16.09.2004 N 447)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზია წარმოადგენს 1/4 ფორმატის, შუაზე გაკეცილ სპეციალური ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ქაღალდს მისი ყალბად დამზადებისაგან დაცვის უზრუნველყოფის სათანადო ნიშნებით. მის პირველ გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი. გერბის ქვეშ თანმიმდევრობით გაკეთებულია წარწერები: „საქართველო", „წიაღით სარგებლობის ლიცენზია", ლიცენზიის სერია ______ , N______ , ტიპი _____ , ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების თარიღი _____ წლის „_____" „_________"

გაცემულია ________________________________________________________

წიაღით სარგებლობის სახის და ძირითადი მიზნების

---

სამთო სამუშაოთა წარმოების წესის (ღია, მიწისქვეშა და სხვა) აღნიშვნა

____________________________________________________________ მიზნით

---

წიღის უბნის ადგილმდებარეობის დასახელება: ქალაქის, რაიონის, სოფლის

---

ტერიტორიაზე და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას წიაღით სარგებლობაზე ლიცენზიის თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ NN ________________ წერტილებზე გამავალი სამთო/გეოლოგიური მინაკუთვნის კონტურის შიგნით. ჩამოთვლილი წერტილების X, Y, H ზედა და H ქვედა კოორდინატების ცხრილი წარმოდგენილია ლიცენზიის თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე.

სამთო/გეოლოგიური მინაკუთვნის ჰორიზონტალური პროექციის ფართობია ________ ჰექტარი, სამთო მინაკუთვნის

(სიტყვიერად)

მოცულობა ________ კუბური მეტრი.

(სიტყვიერად)

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული მიწის მინაკუთვნი დატანილია ლიცენზიის თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე. მისი ფართობია ________ ჰა.

(სიტყვიერად)

მიწის მინაკუთვნი გამოყოფილია ან მიწათსარგებლობა ხდება

---

საქართველოს ნორმატიული აქტის დასახელება და ნომერი

---

საფუძველზე.

ლიცენზიის მოქმედების და წიაღით სარგებლობის ვადაა _____ წელი და წყდება __________ წლის „_____“ „______________“.

*(23.06.2005 N 1765)*

2. ლიცენზიის მეორე გვერდზე და მესამე გვერდის ნაწილზე ჩამოწერილია წიაღით სარგებლობის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები: წიაღის გეოლოგიური და სხვა სახის შესწავლისას, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავებისას, სამთამადნო საწარმოთა ნარჩენების ექსპლუატაციისას, მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელეების და სხვადასხვა დანიშნულების მშენებლობისა და ექსპლუატაციისას, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.

3. მესამე გვერდის თავისუფალი ნაწილი და მეოთხე გვერდი მთლიანად ხელმოწერის ადგილამდე განკუთვნილია წიაღით სარგებლობის კერძო შემთხვევებისათვის წიაღით სარგებლობის დამატებითი, სალიცენზიო პირობების ჩასაწერად.

4. ლიცენზიის მეოთხე გვერდის ქვედა მარცხენა კუთხეში კეთდება სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა ლიცენზიის გაცემის შესახებ, ქვედა მარჯვენა კუთხეში კი წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმოწერა იმის თაობაზე, რომ გაცნობილია ლიცენზიის პირობებს და კისრულობს მათ შესრულებას. ორივე ხელმოწერა დასტურდება სათანადო ბეჭდის დასმით.

5. ლიცენზიის ფორმა იბეჭდება სტამბაში, მასში ჩანაწერები კეთდება ტუშით.

6. ლიცენზიას ერთვის საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს ოქმის ამონაწერი ამ ლიცენზიის გაცემის საკითხის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის პროექტი.

7. სამთო და გეოლოგიური მინაკუთვნის პროექტი უნდა შეიცავდეს განმარტებით ბარათს და გრაფიკულ მასალას.

8. განმარტებით ბარათში ნაჩვენები უნდა იყოს საერთო ცნობები მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის ობიექტების შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობა, ფართობი, მოცულობა, განაშენიანება, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების დახასიათება და სხვა). მოკლე გეოლოგიური დახასიათება (სამთო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, გეოლოგიური შესწავლის ხარისხი, მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ (თუ ლიცენზია მოითხოვება მოპოვების მიზნით); სამთო ნაკვეთის საზღვრების დადგენის საფუძველი; ცნობები მიმდებარე (მოსაზღვრე) სამთო ნაკვეთების შესახებ და სხვა.

9. გრაფიკული მასალა უნდა შეიცავდეს მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად შედგენილ ზედაპირის ტოპოგრაფიულ გეგმას, გეოლოგიური (სტრუქტურული) რუკებისა და ჭრილების ასლებს.

10. ტოპოგრაფიული გეგმის ასლზე ნაჩვენები უნდა იყოს ზედაპირის რელიეფი, გეოდეზიური საყრდენი ქსელის წერტილები, სასარგებლო წიაღისეულის ბუდობების ზედაპირზე ან ნაყარის ქვეშ გამოსავალი, არსებული სამთო გვირაბების (ჭაურების, შტოლნების, შურფების, ჭაბურღილებისა და სხვა) პირები; სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების კონტურები, მიწათსარგებლობისა და მიწათსაკუთრების, მიწის მინაკუთვნის საზღვრები ლიცენზიის შესაბამისი სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის კონტურის კუთხეთა წერტილების კოორდინატებისა და სამთო სამუშაოთა მავნე ზეგავლენის საზღვრების აღნიშვნით.

11. ტოპოგრაფიული გეგმის თავისუფალ ნაწილში აღინიშნება ჰორიზონტალურ სიბრტყეზე სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის პროექციის ფართობი, სამთო მინაკუთვნის მოცულობა, გეგმიდან და ჭრილებიდან განსაზღვრული საკონტურო წერტილების X,Y,H ზედა და H ქვედა კოორდინატთა მნიშვნელობები, გეგმის შევსების თარიღი.

12. ტოპოგრაფიული გეგმის ზედა მარჯვენა ნაწილში დატოვებული უნდა იყოს თავისუფალი ადგილი წარწერის „წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია...... N .... ტიპი ....) დანართი ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი“ გასაკეთებლად და სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერისათვის. ანალოგიური წარწერა კეთდება სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის პროექტის განმარტებით ბარათზე და საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს ოქმის ამონაწერზე.

13. ტოპოგრაფიული გეგმის მასშტაბი მიიღება გამოსასახი უბნის ზომებიდან გამომდინარე, წიაღით სარგებლობის სახეობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით.

14. ნახშირის საბადოთა სამთო მინაკუთვნის პროექტში წარმოდგენილი უნდა იყოს ნახშირის ყველა დამიებული ფენის ჰიფსომეტრიული გეგმები 1:5000 მასშტაბით და მათზე დატანილი უნდა იყოს სამთო მინაკუთვნის საპროექტო კონტურები.

15. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ფორმა ივსება ერთ ეგზემპლარად და ეძლევა წიაღით მოსარგებლე სუბიექტს. ლიცენზიის ფორმა ტარდება სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სამინისტრო. რეესტრში ტუშით შეიტანება ლიცენზიის ფორმაში ჩაწერილი ყველა მონაცემი.

16. სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნის პროექტი დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ლიცენზიასთან და საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს ოქმის ამონაწერთან ერთად ეძლევა წიაღით მოსარგებლეს. მეორე ეგზემპლარი საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს ოქმთან ერთად ინახება წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში.

17. ტოპოგრაფიული გეგმის ერთი ეგზემპლარი, რომელიც შემდგომ ხანგრძლივად ინახება წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო ფონდში, შესრულებული უნდა იყოს ლავსანზე ან სხვა ანალოგიურ გამჭვირვალე მასალაზე, რომელზედაც შესაძლებელია შტამპისა და ბეჭდის დამაგრება.

მუხლი 20. ლიცენზიის ფორმა *(23.06.2005 N 1765)*

წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ფორმას ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

(მუხლი 20. ლიცენზიის ფორმა

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ფორმას ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი). (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

## თავი მესამე

## სახელმწიფო მართვა

მუხლი 21. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვა

1. წიაღით სარგებლობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქართველოში მოქმედებს წიაღით სარგებლობის მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, რომლის მიზანია: *(8.05.2012 N 6154)*

ა) წიაღით რაციონალური სარგებლობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის წიაღით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

გ) თავისუფალი ეკონომიკური კავშირების განვითარება, წიაღით სარგებლობის სფეროში კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება;

დ) წიაღით მოსარგებლეთა, მათ შორის, უცხოელების, აუცილებელი გარანტიებით უზრუნველყოფა და წიაღით სარგებლობაზე მათი უფლებების დაცვა.

2. საქართველოში წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვას ახორციელებს სამინისტრო, როგორც წიაღით სარგებლობის (სამთო ურთიერთობათა) მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი დარგობრივი ორგანო, ხოლო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში - დეპარტამენტი და ინსპექცია.

(2. საქართველოში წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვას ახორციელებენ სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვა ხორციელდება წიაღით სარგებლობის სახელმწიფო პროგრამით აღრიცხვის, ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის მეშვეობით.

(3. საქართველოში წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვა ხორციელდება წიაღით სარგებლობის აღრიცხვის, ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის მეშვეობით. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 22. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის ამოცანა

1. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის ამოცანას წარმოადგენს წიაღის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვა, აგრეთვე, წიაღით სარგებლობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება, სასარგებლო წიაღისეულის ბაზის შექმნა.

2. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის ამოცანათა შესრულების მიზნით ხდება: სასარგებლო წიაღისეულის სახეობების მოპოვების დასაშვები ოდენობის დადგენა; სასარგებლო წიაღისეულის ნედლეულის ბაზის განვითარება;

ისეთი უბნების განსაზღვრა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებისათვის;

წიაღით სარგებლობის ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა;

წიაღის შესწავლისა და დაცვის, მისი რესურსების კომპლექსურად და რაციონალურად გამოყენების, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების სფეროში სტანდარტებისა და ნორმების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 23. აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა

1. წიაღის შესწავლის სამუშაოები, წიაღისეულის საბადოები, მისი მარაგები და რესურსები, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლოატაცია, აგრეთვე, ისეთი მიზნებისათვის გაცემული წიაღის უბნები, რომელთა გამოყენება არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან, წიაღით სარგებლობის ყველა სხვა სახე, ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციასა და აღრიცხვას წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში, რომელიც დეპარტამენტთან ფუნქციონირებს.

2. წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აწარმოებს წიაღით სარგებლობის ყველა ობიექტის კადასტრს და სასარგებლო წიაღისეულის ბალანსს.

3. ყველა წიაღით მოსარგებლე ვალდებულია წიაღის სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს დეპარტამენტს. ამავდროულად დეპარტამენტი და წიაღით მოსარგებლე ყველა სხვა სუბიექტი ვალდებულია წიაღის

სამინისტროს ბუნებრივი რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო სახელმწიფო ფონდს სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

4. დებულებას წიაღით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის (ანგარიშის) და წიაღით სარგებლობის, მათ შორის, სამთო სამუშაოთა, განვითარების გეგმების შედგენის, ლიცენზიაში ლიცენზიის მოქმედების, წარდგენისა და განხილვის წესის აღნიშვნის შესახებ ამტკიცებს სამინისტრო, ხოლო დებულებას წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესახებ – დეპარტამენტი. (1.03.2002)

(მუხლი 23. აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წიაღის შესწავლის სამუშაოები, წიაღისეულის საბადოები, მისი მარაგები და რესურსები, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, აგრეთვე წიაღის უბნების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან, ექვემდებარება წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში აღრიცხვას.

2. წიაღის შესახებ ერთიანი სახელმწიფო ფონდი აწარმოებს წიაღით სარგებლობის ყველა ობიექტის კადასტრს და სასარგებლო წიაღისეულის ბალანსს.

3. წიაღით ყველა მოსარგებლე ვალდებულია წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმავდროულად, წიაღით ყველა მოსარგებლე ვალდებულია წიაღის შესახებ მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია უსასყიდლოდ გადასცეს წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდს.

4. წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესს ამტკიცებს მინისტრი.)

მუხლი 24. წიაღის სახელმწიფო კადასტრი

წიაღის სახელმწიფო კადასტრი უნდა შეიცავდეს სამთო-ტექნიკურ, ჰიდროგეოლოგიურ, ეკოლოგიურ, გეოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა სახის მონაცემებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოებისა თუ ყველა ცალკეული გამოვლინების შესახებ, აგრეთვე, წიაღის იმ უბნების შესახებ, რომელთა გამოყენება შესაძლებელია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებისათვის და აგრეთვე წიაღით სარგებლობის ყველა სხვა ობიექტის შესახებ.

მუხლი 25. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახალმწიფო ბალანსი.

სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო ბალანსი უნდა შეიცავდეს მონაცემებს საბადოებზე ყველა სახის წიაღისეულის მარაგების ოდენობის, ხარისხისა და შესწავლის, სამრეწველო ათვისების დონის, მისი განლაგების, მოპოვების, დანაკარგებისა და დადგენილი მარაგების, აგრეთვე გამოკვლეული მარაგით მრეწველობის უზრუნველყოფის შესახებ.

მუხლი 26. სასარგებლო წიაღისეულის კონდიციები

სასარგებლო წიაღისეულის კონდიციები წარმოადგენს წიაღის დამუშავებისათვის აუცილებელ ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებულ მოთხოვნათა ერთობლიობას. კონდიციებში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ძირითადი, ისე მისი თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსური გამოყენება.

მუხლი 27. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცება

შემსწავლელი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების, აგრეთვე, მათი დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს ამტკიცებს დეპარტამენტთან არსებული მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისია. მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიის დებულებას და ამ კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მარაგების დამტკიცებისათვის კომისიას წარედგინება საბადოს განლაგების პირობები, შესწავლის შედეგები, სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული მარაგის ხარისხისა და რაოდენობის დამადასტურებელი სარწმუნო მონაცემები, საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, მისი კონდიციები, ცნობები სამრეწველო ათვისებისათვის წიაღისეულის ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ.

მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიის დასკვნა წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოძიებული მარაგების სახელმწიფო ბალანსზე აყვანის ერთადერთ საფუძველს.

(მუხლი 27. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცება (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. შესწავლილი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების, აგრეთვე მათი დამუშავების პროცესში დამატებით გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგებს ამტკიცებს სამინისტროსთან არსებული მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებისათვის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას წარედგინება საბადოს განლაგების პირობები და შესწავლის შედეგები, სასარგებლო წიაღისეულის გამოკვლეული მარაგის ხარისხისა და რაოდენობის დამადასტურებელი სარწმუნო მონაცემები, საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, მისი კონდიციები, ცნობები სამრეწველო ათვისებისათვის წიაღისეულის ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ.

3. მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის დასკვნა სასარგებლო წიაღისეულის მოძიებული მარაგების სახელმწიფო ბალანსზე აყვანის ერთადერთი საფუძველია.)

მუხლი 28. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ბალანსიდან ჩამოწერა

სასარგებლო წიაღისეულის საბადოზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგი,რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა, ან არ დადასტურდა შემდგომი

ეკოლოგიურ - სადაზვერვო სამუშაოების ან საბადოს დამუშავების დროს, უნდა ჩამოიწეროს წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსიდან. მარაგების სახელმწიფო ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი სამინისტროსთან და ინსპექციასთან შეთანხმებით. *(1.03.2002)*

(მუხლი 28. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო ბალანსიდან ჩამოწერა (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

სასარგებლო წიაღისეულის საბადოზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობა, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მარაგი, რომელმაც დაკარგა სამრეწველო მნიშვნელობა ან რომელიც არ დადასტურდა შემდგომი გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების ან საბადოს დამუშავების დროს, უნდა ჩამოიწეროს წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსიდან. მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის დასკვნა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო ბალანსიდან ჩამოწერის ერთადერთი საფუძველია. )

მუხლი 29. საკუთრება წიაღის შესახებ ინფორმაციაზე

ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების,წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია.

შეიძლება წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიური ან სხვა სახის ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიურ ან სხვა ინფორმაციაზე.

დაუშვებელია სახელმწიფო საფინანსო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

მუხლი 30. წიაღით სარგებლობის ლიცენზირების სახელმწიფო **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა *(16.09.2004 N 447)*

1. წიაღით სარგებლობის ლიცენზირების სახელმწიფო სისტემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტრო, რომელთანაც ფუნქციონირებს საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭო.

2. სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს ფუნქციაა წიაღით სარგებლობისათვის ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილი განცხადებების, პროექტების, კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება და შესაბამისი დასკვნების მიღება, რაც ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით.

3. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭო დაკომ- პლექტებულია შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებით. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს დებულებას და პერსონალურ შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს მინისტრი.

4. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს შემადგენ- ლობაში არ შეიძლება იყვნენ წიაღით მოსარგებლე სუბიექტების წარმომადგენლები.

5. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოს დასკვნების საფუძველზე ლიცენზიას აფორმებს, სახელმწიფო რეგისტრაციაში ატარებს, გასცემს, ჩამოართმევს და სახელმწიფო რეგისტრაციიდან ხსნის სამინისტრო. ზოგიერთი ადგილობრივი მნიშვნელობის სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზირების უფლება სამინისტრომ შეიძლება გადასცეს რეგიონალურ საექსპერტო კომისიებს.

მუხლი 31. სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი წიაღით

1. წიაღზე, მის მდგომარეობასა და სარგებლობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ძირითადი მიზანია დაადგინონ, როგორ ასრულებენ წიაღით მოსარგებლენი წიაღის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს და გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად მიიღონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

2. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ექვემდებარება: *(22.04.2005 N 1409)*

ა) ნებისმიერი წიაღით მოსარგებლის მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია წიაღით სარგებლობასთან;

ბ) წიაღის შესწავლის ნებისმიერი სტადია, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოქიმიური, გეოეკოლოგიური და სხვა სამუშაოები, წიაღის შესწავლის სამუშაოთა მიმართულება, მეთოდიკა, კომპლექსურობა და ხარისხი;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება როგორც ბუნებრივი, ასევე ტექნოგენური წარმოშობის საბადოებიდან;

დ) წიაღის გამოყენება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებით;

ე) წიაღის დაცვა და მისი რესურსების რაციონალური და კომპლექსური დამუშავება, ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების მიმართულება, მეთოდიკა, კომპლექსურობა და ხარისხი, აგრეთვე წიაღით სარგებლობის პროცესში წარმოქმნილი დანაკარგების ოდენობა და მათი შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან, ნორმებთან და წესებთან;

ვ) წიაღის და წიაღით სარგებლობის სამუშაოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ზ) წიაღით სარგებლობის ობიექტების კონსერვაცია და ლიკვიდაცია;

თ) წიაღით სარგებლობის კანონიერების და ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ი) წიაღით სარგებლობის ნებისმიერ სტადიაში წიაღით სარგებლობის სტანდარტების, ნორმებისა და წესების მოთხოვნათა შესრულება;

კ) წიაღის შესწავლის მიმართულება, მეთოდიკა, კომპლექსურობა და ხარისხი;

ლ) წიაღით სარგებლობის დროს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესებისა და ნორმების დაცვა;

მ) იმ ღონისძიებათა სისწორე და დროულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის უსაფრთხოებას, ბუნებრივი გარემოს, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, შენობებისა და ნაგებობების, მოქმედი და დაკონსერვებული სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების დაცვას წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან;

ნ) სამთო გვირაბებში, მიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში ნავთობის, გაზისა და მიწისქვეშ დასაცავად შენახული სხვა ნივთიერებისა და მასალების, წიაღში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების, წიაღში ჩამარხული მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების გაჟონვის თავიდან აცილება;

ო) სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ექსპლუატაციის დროს გეოლოგიურ და სამარკშეიდერო სამუშაოთა წარმოების წესების დაცვა.

3. წიაღით სარგებლობაზე სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას ახორციელებს სამნისტრო.

(3. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომ – დეპარტამენტი). (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. წიაღით სარგებოობის სამუშაოთა უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს ინსპექცია.

(4. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოები. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 32. წიაღით სარგებლობის სახელმწიფო მართვის ორგანოების უფლებები და მოვალეობები **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. სამინისტრო ვალდებულია:

დადგენილი წესით გასცეს სარგებლობის ლიცენზია;

ბუნებრივი რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო ფონდში აწარმოოს წიაღით სარგებოლობის სახელმწიფო აღრიცხვა და რეგისტრაცია;

უზრუნველყოს წიაღის შესახებ ინფორმაციის მესაკუთრეთა უფლებების დაცვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

უზრუნველყოს ინსპექციასთან ერთად წიაღით სარგებლობაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

2. დეპარტამენტი ვალდებულია:

შეიმუშაოს გეოლოგიური სამუშაოების მართვის პროგრამები საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზის განსამტკიცებლად;

უზრუნველყოს გეოლოგიური საძიებო სამუშაოების დაგეგმვა, წარმოება, მინერალური ნედლეულის ბაზის განმტკიცება, სპეციალური გეოლოგიური კვლევების ჩატარება სახელმწიფო საჭიროებისათვის;

უზრუნველყოს ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის ანგარიშის სახელმწიფო ექსპერტიზის ჩატარება და დამტკიცებული მარაგების სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანა;

უზრუნველყოს სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის მესაკუთრის უფლებების დაცვა;

უზრუნველყოს სამინისტროსთან ერთად სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობაზე;

უზრუნველყოს მინერალური ნედლეულის ბაზის აღწარმოება და წიაღის ისეთი უბნების რეზერვის შექმნა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს წიაღისეულის მოპოვებისაგან განსხვავებული მიზნებისათვის.

3. ინსპექცია ვალდებულია:

დადგენილი წესით გასცეს წიაღით სარგებლობის სპეციფიკურ სამუშაოთა წარმოების და წიაღით სარგებლობის ობიექტზე დანადგარების, აგრეგატების, მანქანების, მექანიზმების, სამარჯვების, სხვა მოწყობილობათა და მასალების გამოყენების ლიცენზია;

დადგენილი წესით ჩაატაროს წიაღით მოსარგებლე საწარმოებში და წიაღით სარგებლობის ობიექტებზე მომხდარი უბედური შემთხვევის, ავარიის, კატასტროფის, ფეთქებადი მასალების დატაცებას,დაკარგვის და გაბნევის შემთხვევების ტექნიკური მხარის გამოკვლევა, მიიღოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები შესაბამისი სანქციების გამოყენების ჩათვლით.

4. სამინისტროს უფლება აქვს:

დაადგინოს ერთი მოსარგებლისათვის გაცემული წიაღის უბნების ზღვრული ოდენობა;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმოს საქართველოს წიაღით სარგებლობის ნებისმიერი ობიექტი და ნებისმიერი წიაღით მოსარგებლის საქმიანობა მისთვის ხელსაყრელ დროს;

განაზოგადოს ინსპექციასთან ერთად წიაღით სარგებლობის და უსაფრთხოების კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკა. დაამუშაოს კანონმდებლობის დახვეწა-გაუმჯობესების წინადადებები და აუცილებლობის შემთხვევაში განსახილველად წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს;

აკრძალოს ინსპექციასთან ერთად გეოლოგიური, საძიებო, სამთომომპოვებელი და სხვა სამუშაოების დროს სასარგებლო წიაღისეულის, მავნე ნივთიერებათა და მასალების მიწისქვეშა შენახვისას წიაღის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების გაჭუჭყიანების და წიაღში არსებული სასარგებლო წიაღისეულის ხარისხის გაუარესების გამომწვევი ქმედებანი;

აკრძალოს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვება წყალსატევების, წყალშემკრებ და მიწისქვეშა განლაგების ფართობებზე;

არ დაუშვას ინსპექციასთან ერთად სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოების, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციის და კონსერვაციის ნორმების დარღვევა;

შეზღუდოს, შეწყვიტოს ან შეაჩეროს წიაღით სარგებლობის უფლება დადგენილი წესით და შემთხვევებში ან უარი თქვას ამ უფლების გაცემაზე;

შეაჩეროს ინსპექციასთან ერთად ან მის გარეშე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები და წიაღით მოსარგებლეებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმის გადახდა იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია წიაღით სარგებლობის, წიაღის დაცვის და წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების სტანდარტების, ნორმებისა და წესების მოთხოვნები;

ინსპექციასთან ერთად წიაღით მოსარგებლეებს მისცეს სავალდებულო მითითებანი და დააწესოს შესაბამისი ვადა სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და წიაღის დაცვის წესებისა და ნორმების დარღვევების აღმოსაფხვრელად;

ინსპექციასთან ერთად აუცილებელ შემთხვევებში დანიშნოს წიაღით სარგებლობის ობიექტებზე გამოყენებული მასალების და მოწყობილობების გამოცდა,სამუშაო და ბუნებრივი გარემოს საკონტროლო ანალიზები.

5. ინსპექციას უფლება აქვს:

აკრძალოს წიაღით სარგებლობის ობიექტებზე უნებართვო განაშენიანება;

შეამოწმოს, რამდენად შეესაბამება საპროექტო და საკოსტრუქტორო ორგანიზაციების, აგრეთვე, მოწყობილობათა დამამზადებელი ქარხნების გამოშვებული პროდუქცია და ტექნიკური დოკუმენტაცია წიაღით სარგებლობისა და უსაფრთხოების ნორმებს და შეაჩეროს მათი გამოქვეყნება და გამოშვება დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით წარმოების შემთხვევაში;

მოსთხოვოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და უფლებრივი მოწმობები წიაღით სარგებლობის ობიექტებზე დასაქმებულ პერსონალს;

შეამოწმოს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შესაბამისი ტექნოლოგიური რეგლამენტების, ნორმების და წესების ცოდნის დონე და მუშაკების მიერ შრომის დაცვის სათანადო ინსტრუქციების ცოდნა;

მიიღოს გამოცდა და მისცეს სათანადო მოწმობა პირებს, რომლებსაც შეუძლიათ ფეთქებადი სამუშაოების წარმოება, აგრეთვე, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე გამოყენებულ მანქანებზე, აგრეგატებზე და სხვა მოწყობილობაზე მუშაობა.

6. დეპარტამენტს უფლება აქვს:

შეაჩეროს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, თუ ისინი არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს (წესებს, სტანდარტებს, მოთხოვნებს).

### მუხლი 32$^{1}$. საქართველოს კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით რეგულირებულ ურთიერთობათა სტაბილურობა *(20.11.2009 N 2114)*

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი პირის უფლებების დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, თუ ისინი გააუარესებს საინვესტიციო პირობებს ან/და უარყოფით გავლენას მოახდენს ლიცენზიის მფლობელი პირის ლიცენზიით განსაზღვრულ უფლებებსა და ინტერესებზე, არ შეეხება საქართველოს კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი გავრცელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზედაც, თუ ეს აქტები შეზღუდავს ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ლიცენზიის შესაბამისად შეძენილ და განხორციელებულ ქონებრივ უფლებებს.

3. სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ, ლიცენზიის მფლობელს შეუქმნან რაიმე წინააღმდეგობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან ლიცენზიის პირობებს.

4. ეს მუხლი არ ვრცელდება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ ურთიერთობებზე.

მუხლი 33. წიაღით სარგებლობის სფეროში კონკურენციის პოლიტიკის მოთხოვნები *(8.05.2012 N 6154)*

1. აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი ქმედება, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას წიაღით სარგებლობის სფეროში.

2. აკრძალულია წიაღით მოსარგებლეთა ინფრასტრუქტურით სარგებლობის შეზღუდვა.

3. წიაღით სარგებლობის სფეროში კონკურენციის საკითხები რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

## თავი მეოთხე ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

## წიაღით სარგებლობის ეკონომიკური საფუძვლები

მუხლი 34. წიაღით სარგებლობის გადასახადი **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. საქართველოში წიაღით სარგებლობა ფასიანია. წიაღით სარგებლობის გადასახადის ნორმატივები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. წიაღით სარგებლობის გადასახადის ფორმა, ოდენობა და ვადები მოცემულია ლიცენზიაში.

2. წიაღით სარგებლობის გადასახადი განისაზღვრება, როგორც წიაღით სარგებლობის თვითღირებულების ნაწილი.

3. წიაღით სარგებლობის გადასახადი გადაიხდევინება წიაღით სარგებლობისათვის ლიცენზიის გაცემის დღიდან და გრძელდება ლიცენზიის მოქმედების მთელი ვადით.

მუხლი 35. წიაღის სარგებლობის გადასახადის გადამხდელები **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

წიაღით სარგებლობის გადასახადის გადამხდელები არიან მოსარგებლე იურიდიული ან ფიზიკური პირები (მათ შორის უცხოელები).

მუხლი 36. დაბეგვრის ობიექტი *(1.03.2002)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

წიაღით სარგებლობისათვის იბეგრება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება, სამთამადნო საწარმოთა ნარჩენებისა და გამდიდრების კუდების ექსპლუატაცია.

მუხლი 37. წიაღით სარგებლობის გადასახადის შეღავათები **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

საქართველოს პარლამენტს შეუძლია ეროვნული მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისას წიაღით მოსარგებლე მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან.

## თავი მეხუთე

## წიაღის დაცვა და წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნები

მუხლი 38. წიაღით რაციონალურად სარგებლობისა და მისი დაცვის ძირითადი მოთხოვნები *(22.04.2005 N 1409)*

წიაღის დაცვის ძირითადი მოთხოვნებია:

ა) არ დაუშვან წიაღით თვითნებური სარგებლობა;

ბ) დაიცვან განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული მნიშვნელობის წიაღის ობიექტები ან უბნები;

გ) დაიცვან სასარგებლო წიაღისეულის საბადოები მათი განლაგების ფართობების განაშენიანებისაგან, წყალსაცავებით დატბორვისაგან და სხვა;

დ) რაციონალურად ისარგებლონ სასარგებლო წიაღისეულით და გამოიყენონ სამთომომპოვებელი მრეწველობის ნარჩენები;

ე) დაიცვან წიაღის ის უბნები, რომლებიც გამოიყენება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული საინჟინრო ნაგებობების, მიწისქვეშა საცავების, მავნე ნივთიერებების და წარმოების ნარჩენების სამარხების მოსაწყობად;

ვ) დაიცვან სარგებლობისათვის წიაღის გადაცემის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები და არ დაუშვან წიაღით თვითნებურად (ულიცენზიოდ ან ლიცენზიით გამოყოფილი სამთო ნაკვეთის ფარგლებს გარეთ) სარგებლობა;

ზ) უზრუნველყონ წიაღის სრული და კომპლექსური შესწავლა და წიაღის დაცვისა და მისი რესურსების რაციონალური, კომპლექსური გამოყენება;

თ) წინასწარ შეისწავლონ წიაღი იმისათვის, რომ მიღებული იქნეს სარწმუნო მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შეფასებისა და წიაღით სარგებლობის სხვა ობიექტების მახასიათებლების დასადგენად;

ი) მოახდინონ  სასარგებლო წიაღისეულის მარაგებისა და წიაღით სარგებლობის ობიექტებზე გაცემული წიაღის უბნების სახელმწიფო ექსპერტიზა და სახელმწიფო აღრიცხვა;

(ი) აღრიცხონ სასარგებლო წიაღისეულის მარაგები და წიაღით სარგებლობის ობიექტებზე გაცემული წიაღის უბნები; (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

კ) შესამლებელი სისრულით ამოიღონ წიაღიდან როგორც ძირითადი, ასევე თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და უზრუნველყონ მათი აღრიცხვა, აგრეთვე უზრუნველყონ დანაკარგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან, ნორმებთან და წესებთან და განახორციელონ ღონისძიებები მათ შესამცირებლად;

ლ) დაიცვან სასარგებლო წიაღისეულის საბადოები დატბორვისაგან, გაწყლიანებისაგან, დაბინძურებისაგან, ხანძრის, დაშრეტისა და სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც აუარესებენ წიაღისეულის ხარისხს, ამცირებენ საბადოს სამრეწველო ღირებულებას ან ართულებენ მის ათვისებას;

მ) თავიდან აიცილონ წიაღზე მავნე ზემოქმედება გაზისა და სხვა ნივთიერებების წიაღში შენახვის, მავნე ნივთიერებებისა და წარმოების ნარჩენების ჩამარხვის, ჩამდინარე წყლების ჩაშვების დროს;

ნ) დაიცვან სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ წარმოებათა და იმ მიწისქვეშა ნაგებობების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის დადგენილი წესები, რომლებიც დაკავშირებული არ არიან წიაღისეულის მოპოვებასთან;

ო) აღკვეთონ წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობზე თვითნებური განაშენიანება;

პ) არ დაუშვან სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგების სათავო ნაგებობების სიახლოვესა და მათი წყალშემკვრელი ფართობების ფარგლებში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვება;

ჟ) უზრუნველყონ გარემოს მდგომარეობაზე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების გავლენის სარწმუნო პროგნოზირება და შეფასება, განახორციელონ აუცილებელი ზომები გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად.

მუხლი 39. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ფართობის განაშენიანების წესი

1. აკრძალულია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, კომუნიკაციების, სამეურნეო და სხვა ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, სანამ არ დადასტურდება, რომ მომავალი განაშენიანების ფართობზე არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის საბადო (ტექნოგენური საბადოს გარდა) ან გამოვლინდება. სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს

ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. თუ განაშენიანება ხორციელდება ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობზე, ამ შემთხვევაში აუცილებელია ლიცენზიის მფლობელის თანხმობა. *(7.12.2010. N3890)*

2. წიაღით უნებართვოდ სარგებლობისა და წიაღისეულის საბადოთა ფართობების (წიაღის ფონდის მიწების) თვითნებური განაშენიანება წყდება გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლად. თუ წიაღისეულის საბადოთა ფართობებზე (წიაღის ფონდის მიწებზე) არსებული განაშენიანება არსებითად ზღუდავს ან აფერხებს წიაღით სარგებლობის შესაძლებლობას, მაშინ გამოიყენება ამ კანონითა და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესები და პროცედურები. *(22.04.2005 N 1409)*

3. დასაშვებია დასახლებული პუნქტების, სამრეწველო კომპლექსების, სხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა მხოლოდ იმ ფართობზე, სადაც სასარგებლო წიაღისეულის საბადო (ტექნოგენური საბადოს გარდა) არ არსებობს, რაც დასტურდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნით. *(7.12.2010. N3890)*

მუხლი 40. წიაღის მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან
სხვა კულტურული მნიშვნელობის მქონე უბნების დაცვა

იშვიათი (უნიკალური) გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური ობიექტების, მინერალური წარმონაქმნების, მეტეორიტების განლაგების ადგილების, აგრეთვე წიაღის ისეთი უბნების, რომელთაც მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული ღირებულება გააჩნია, შეიძლება მივაკუთვნოთ დაცული ტერიტორიების შესაბამისი კატეგორია საქართველოს კანონმდებლობით დაგენილი წესით.

აკრძალულია დაცული ტერიტორიის ფარგლებში ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით.

წიაღით სარგებლობისას ასეთი ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში წიაღით მოსარგებლე ვალდებულია შეაჩეროს სამუშაოები შესაბამის უბნებზე და ამის შესახებ აცნობოს სამინისტროს.

(„მუხლი 40. წიაღის მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობის მქონე უბნების დაცვა (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. იშვიათი (უნიკალური) გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური ობიექტების, მინერალური წარმონაქმნების, მეტეორიტების განლაგების ადგილებს, აგრეთვე წიაღის ისეთ უბნებს, რომელთაც აქვთ მეცნიერული, ისტორიული, ესთეტიკური ან სხვა კულტურული მნიშვნელობა, შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეკუთვნოს დაცული ტერიტორიების შესაბამისი კატეგორია.

2. აკრძალულია დაცული ტერიტორიის ფარგლებში ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით.

3. წიაღით სარგებლობისას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში წიაღით მოსარგებლე ვალდებულია შეაჩეროს სამუშაოები

შესაბამის უბნებზე და ამის შესახებ აცნობოს ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.)

მუხლი 41. წიაღის შესწავლის ძირითადი მოთხოვნები

იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც სწავლობენ წიაღს, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ:

წიაღის ეფექტური შესწავლა;

სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების, აგრეთვე, სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლოატიციის გეოლოგიური, სამთო-ტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური და სხვა პირობების დადგენა; წიაღით სარგებლობა ლიცენზიით გამოყოფილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებში;

ლიცენზიით გათვალისწინებული წიაღის შესასწავლი სამუშაოების სრულფასოვანი ჩატარება და შესწავლის შედეგების უტყუარობა;

ძირითადი და მისი თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის, აგრეთვე, გარემომცველი ქანების შემადგენელი კომპონენტების მარაგების ხარისხისა და რაოდენობის განსაზღვრის ობიექტურობა, გარემოსა და წიაღის დაცვის მოთხოვნათა შესრულება; \

წიაღის შესწავლისას ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და გარემოსათვის უვნებელი ისეთი მეთოდებისა და ხერხების გამოყენება, რომლებიც არ გამოწვევენ წიაღისეულის გაუმართლებელ დანაკარგებსა და ხარისხის გაუარესებას;

წიაღიდან ამოღებული ქანების ისეთი განთავსება, რომლებიც გამორიცხავს ან შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას;

საბადოს დამუშავებისა და ეროვნული მეურნეობის მიზნებისათვის საძიებო სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების შენარჩუნება, ხოლო შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისის ლიკვიდაცია;

გეოლოგიური და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის, ქანების, მადნების ნიმუშების, კერნისა და სინჯების დუბლიკატების შენახვა წიაღის შემდგომი შესწავლის, საბადოს დაზვერვისა და დამუშავების, აგრეთვე წიაღით სხვა სახით სარგებლობისას მათი შესაძლო გამოყენებისათვის.

მუხლი 42. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ძირითადი მოთხოვნები *(22.04.2005 N 1409)*

1. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ზუსტად აღირიცხოს ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მდგომარეობა, მათი დინამიკა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები და დანაკარგები;

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს საბადოს დამუშავება შესაბამისი დონის გეოლოგიურ-სამარკშეიდერო სამუშაოების ჩატარებითა და საჭირო ტექნიკური და სხვა დოკუმენტაციის წარმოებით;

გ) საბადოს დამუშავებამ არ უნდა გამოიწვიოს სხვა საბადოების დაზიანება;

დ) შენარჩუნებულ იქნეს საბადოს დამუშავებისას წიაღში დარჩენილი მარაგი და მოხდეს გზადაგზა მოპოვებული, მაგრამ დროებით გამოუყენებელი წიაღისეულის შენახვა და აღრიცხვა;

ე) რაციონალურად იქნეს ათვისებული ქანები და ოპტიმალურად განთავსდეს ისინი მომავალში გამოსაყენებლად;

ვ) სამუშაოთა წარმოებისას უზრუნველყოფილ იქნეს მუშაკთა და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოება;

ზ) დაიცვან წიაღი და გარემოს სხვადასხვა ობიექტები, შენობები და ნაგებობები;

თ) გაითვალისწინონ შესაძლო ავარიები და შეიმუშაონ მათი ლიკვიდაციის გეგმები;

ი) შეინარჩუნონ ეკოლოგიური წონასწორობა;

კ) აწარმოონ მყარი სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობის, გაზის, აგრეთვე მიწისქვეშა წყლების საბადოთა დამუშავება მომპოვებელ საწარმოთა დამტკიცებული პროექტების, სამთო სამუშაოების გეგმებისა და ტექნოლოგიური სქემების შესაბამისად.

2. წიაღით სარგებლობის პროექტებს, სამთო სამუშაოთა გეგმებსა და საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს სამინისტროსთან არსებული სათანადო მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს წიაღით მოსარგებლე. დებულებას მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის შესახებ, აგრეთვე დებულებას წიაღით სარგებლობის პროექტების, სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემების შედგენისა და განსახილველად წარდგენის წესის შესახებ ინსპექციასთან შეთანხმებით ამტკიცებს სამინისტრო. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 43. ძირითადი მოთხოვნები წიაღით იმ მიზნებით სარგებლობისას, რომელიც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. წიაღის გამოყენება იმ მიზნით, რომელიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან, წარმოებს დადგენილი წესით დამტკიცებული სპეციალური პროექტის შესაბამისად.

2. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს მავნე ნივთიერებებისა და მასალების გაუვნებლება (ან ზუსტად დადგენილ საზღვრებში მათი ლოკალიზაცია), სამთო გვირაბებში, დედამიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში მათი მოხვედრის თავიდან აცილება ამ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

ამ მუხლის დარღვევა იწვევს წიაღით სარგებლობის სამუშაოთა აკრძალვას სამინისტროსა ან ინსპექციის მიერ.

მუხლი 44. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ძირითადი მოთხოვნები *(22.04.2005 N 1409)*

სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

ა) ისეთი ტექნოლოგიური სქემის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს სასარგებლო წიაღისეულის კომპლექსურ და რაციონალურ გამოყენებას, წიაღით სარგებლობის პროცესში წარმოქმნილი დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებას;

ბ) გადამუშავების სხვადასხვა სტადიაზე წიაღისეულიდან მიღებული სასარგებლო კომპონენტების რაოდენობის, ხარისხისა და დანაკარგების აღრიცხვა და კონტროლი;

გ) გადამუშავების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის მიზნით წიაღისეულის სამთო-ქიმიური თვისებებისა და შემადგენლობის რეგულარული შესწავლა და საცდელი ტექნოლოგიური შემოწმების ჩატარება;

დ) გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების (ლამი, კუდები, მტვერი, ჩამდინარე წყლები და სხვა) მაქსიმალური სისრულით გამოყენება;

ე) ჩამდინარე წყლების გაწმენდა მათი მეორადი გამოყენების მიზნით;

ვ) სასარგებლო კომპონენტების შემცველი, მაგრამ დროებით გამოუყენებელი ნარჩენების დასაწყობება, აღრიცხვა და შენახვა;

ზ) პროდუქციის ისეთი სახით გამოშვება, რომ მისი ტრანსპორტირებისას, შენახვისა და მოხმარებისას დაცული იყოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობები.

მუხლი 45. წიაღში მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების განლაგების (ჩამარხვის) და ჩამდინარე წყლების ჩაშვების მოთხოვნები

1. ნებადართულია წიაღში მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების განლაგება (ჩამარხვა), ჩამდინარე წყლების ჩაშვება იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია შემდეგი მოთხოვნები:

ჩასამარხი პროდუქტების ლიკვიდაცია ან იზოლაცია მოხდება მკაცრად დადგენილ საზღვრებში და იმ პირობით, რომ ავარიული სიტუაციის წარმოშობისას თავიდან იქნება აცილებული სამთო გვირაბებში, დედამიწის ზედაპირზე და წყლის ობიექტებში მათი მოხვედრის შესაძლებლობა;

ეკოლოგიურად უსაფრთხო ისეთი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ წიაღისა და გარემოს სხვა კომპონენტების დაცვას მავნე ზემოქმედებისაგან;

ჩამარხვის ობიექტებისა და გარემოს მდგომარეობაზე კონტროლის მუდმივი სისტემის უზრუნველყოფა, აგრეთვე ავარიის წარმოშობისას მოსახლეობის დაცვისა და დროული შეტყობინების ეფექტური ზომების მიღება.

2. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ჩაშვება, მავნე ნივთიერებების და ნარჩენების ჩამარხვა უნდა შეზღუდოს, შეაჩეროს ან აკრძალოს სამინისტრომ ან ინსპექციამ. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 46. წიაღით სარგებლობის ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის მოთხოვნები

1. წიაღით სარგებლობის ობიექტების დაპროექტება წარმოებს სავარაუდო მშენებლობის უბანზე წიაღის გეოლოგიური აგებულების და სხვა პირობების გათვალისწინებით.

წიაღის შესწავლა და გამოყენება სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავების, მიწისქვეშა ნაგებობებისა და ობიექტების განლაგების, საწარმოო ნარჩენების, მავნე ნივთიერებათა ჩამარხვისა და სხვა მიზნებისათვის ხორციელდება დამუშავებული

და დამტკიცებული პროექტების (ტექნოლოგიური სქემების) საფუძველზე. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კანონის მოთხოვნები.

2. იმ მიწისქვეშა ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას, რომლებიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან (მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების ჩამარხვა, ჩამდინარე წყლის ჩაშვება, მიწისქვეშა გაზსაცავების მოწყობა და სხვა), უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ობიექტების გარემომცველი ქანების, პირველ რიგში კი წყალშემცველი ჰორიზონტების საიმედო იზოლაცია.

3. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოთა, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობების განლაგების ადგილები, რომლებიც დაკავშირებული არ არის წიაღისეულის მოპოვებასთან, საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივი და საქართველოს სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ორგანოებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 47. წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნები

1. ნებადართულია წიაღით სარგებლობა მხოლოდ მოსახლეობის, განსაკუთრებით დასაქმებული მუშაკთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობით.

2. სამინისტრო და ინსპექცია, აგრეთვე, წიაღით მოსარგებლენი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულნი არიან უზრუნველყონ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების შესახებ კანონმდებლობისა და დადგენილი წესით დამტკიცებული სტანდარტების (ნორმების, წესების) მოთხოვნათა შესრულება.

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებაზე უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებათ წიაღის ათვისებაზე მომუშავე საწარმოებს იმის განურჩევლად, ლიცენზიას ფლობენ თუ სახელშეკრულებო საწყისებზე მუშაობენ.

(2. წიაღით მოსარგებლე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების უსაფრთხო წარმოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველყოფის მოთხოვნებია:

სამუშაოზე მხოლოდ შესაბამისი სპეციალური მომზადებისა და კვალიფიკაციის მუშაკების დაშვება;

სამთო და ბურღვით სამუშაოებზე დასაქმებულია უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, დაცვის ინდივიდუალური და კოლექტიური საშუალებებით;

ისეთი მეთოდების, მასალების, ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ უსაფრთხოების დადგენილ წესებს;

სამუშაოთა ნორმალური ტექნოლოგიური ციკლისა და საშიში სიტუაციების პროგნოზირებისათვის აუცილებელი გეოლოგიური, სამარკშეიდერო და სხვა სახის დაკვირვებათა ჩატარება;

სისტემატური კონტროლი სამთო გვირაბებში მტვრის, ფეთქებადსაშიში აირებისა და ჟანგბადის შემცველობაზე;

წიაღით სარგებლობისას გარემოზე ყველა სახის მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი და დასაშვებ ნორმამდე შემამცირებელი ღონისძიებების დამუშავება და გატარება;

საშიში და ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის გეგმების შედგენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

მუშაკთა მიერ სამუშაოთა უსაფრთხოების წესების შესწავლა და შესრულება, აგრეთვე, ავარიების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება;

სამუშაოთა შეჩერება მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, ადამიანების გამოყვანა უსაფრთხო ადგილზე და საფრთხის ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა განხოორციელება;

სამუშაოთა ჩატარებისას მხოლოდ ისეთი მანქანების, მოწყობილობებისა და მასალების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებენ უსაფრთხოების წესების ნორმების მოთხოვნებს;

ფეთქებად ნივთიერებათა და ასაფეთქებელ საშუალებათა აღრიცხვა, სათანადო შენახვა და ხარჯვა, აგრეთვე უსაფრთხო, სწორი გამოყენება;

უსათრთხოების წესებით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენეტაციის, მათ შორის სამთო სამუშაოთა გეგმების დროულად შევსება მონაცემებით, რომლებიც ასახავენ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების საზღვრებსა და ავარიის ლიცკვიდაციის ზომებს;

4. წიაღით მოსარგებლეთა მიერ უსაფრთხოების წესების და ნორმების დაცვის უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სათანადო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს. ისინი განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც კონტროლს გაუწევენ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სტრუქტურულ ქვედანაყოფებში უსაფრთხოების აღნიშნული წესების დაცვას.

5. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ხელმძღვანელები,სხვა ამისათვის უფლებამოსილი თანამდებობის პირები, მუშაკთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უშუალო საფრთხის შექმნისას ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეჩერონ სამუშაოები და უზრუნველყონ წარმოებაში დასაქმებულთა უსაფრთხო ევაკუაცია.

თუ საფრთხე ემუქრებათ მცხოვრებლებს წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გავლენის ზონაში, შესაბამისი წიაღით მოსარგებლე სუბიექტები ვალდებულნი არიან შეატყობინონ შექმნილი საფრთხის შესახებ სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და ერთობლივად გამოყონ სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები, მასალები, მოწყობილობები, მედიკამენტები და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ ავარიის ლიკვიდაციაში.

(5. წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ხელმძღვანელები, საამისოდ უფლებამოსილი სხვა თანამდებობის პირები ვალდებული არიან, წარმოებაში

დასაქმებულ მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უშუალო საფრთხის შექმნისას დაუყოვნებლივ შეაჩერონ სამუშაოები და უზრუნველყონ მათი უსაფრთხო ევაკუაცია. თუ საფრთხე ემუქრებათ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა გავლენის ზონაში მცხოვრებლებს, შესაბამისი წიაღით მოსარგებლეები ვალდებული არიან, შექმნილი საფრთხის შესახებ შეატყობინონ სათანადო უფლებამოსილ ორგანოებს. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

### მუხლი 48. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწაორმოების ან ისეთი მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაცია და კონსერვაცია, რომლებიც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან

პროექტით გათვალისწინებული სისრულით საბადოს დამუშავების შემდეგ ან იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა ან სხვა დასაბუთებათა საფუძველზე საბადოს(მისი ნაწილის) შემდგომი დამუშავება შეუძლებლად არის მიჩნეული, უნდა მოხდეს მომპოვებელი საწარმოს ლიკვიდაცია ან კონსერვაცია. იგივე ვრცელდება იმ მიწისქვეშა ნაგებობებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან, მათი შემდგომი ექსპლუატაციის შეუძლებლობისას, აგრეთვე, ლიცენზიის ვადის გასვლისა ან წიაღით სარგებლობის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

საწარმოს ლიკვიდაციისას უნდა გადაწყდეს სახალხო მეურნეობის სხვა მიზნებისათვის სამთო გვირაბების და ჭაბურღილების შემდგომი გამოყენების საკითხი. მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გვირაბები და ჭაბურღილები მოყვანილ უნდა იქნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის უსაფრთხოება, ეკოლოგიური პირობების, შენობების და ნაგებობების დაცვა, კოსერვაციისას კი მათი სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნება კონსერვაციის მთელი პერიოდის მანძილზე.

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს, აგრეთვე, იმ მიწისქვეშა ნაგებობათა ლიკვიდაციისა ან კონსერვაციის შემთხვევაში, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, გეოლოგიური, სამარკშეიდერო და სხვა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოებდეს სამუშაოთა დამთავრების მომენტამდე და ინახებოდეს ინსპექციის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სალიკვიდაციო ან საკონსერვაციო ობიექტების მოსაზღვრე რაიონებში უნდა განხორციელდეს ღონისძიებები მომვალში სამთო სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დამთავრებამდე წიაღით მოსარგებლეს ეკისრება ამ კანონით გათვალისწინებული სრული პასუხიმგებლობა.

ამ მუხლში დასახელებული ობიექტების ლიკვიდაცია ან კონსერვაცია ხდება და დამთავრებულად ითვლება სამინისტროს მიერ შესაბამისი აქტის გაფორმების შემდეგ.

(მუხლი 48. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ან იმ მიწისქვეშა ნაგებობის ლიკვიდაცია და კონსერვაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. პროექტით გათვალისწინებული სისრულით საბადოს დამუშავების შემდეგ ან იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებათა ან სხვა დასაბუთებათა საფუძველზე საბადოს ან მისი ნაწილის შემდგომი დამუშავება შეუძლებლად არის მიჩნეული, უნდა განხორციელდეს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს ლიკვიდაცია ან კონსერვაცია. ეს წესი ვრცელდება იმ მიწისქვეშა ნაგებობაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული წიაღისეულის მოპოვებასთან, მისი შემდგომი ექსპლუატაციის შეუძლებლობის, აგრეთვე ლიცენზიის ვადის გასვლის ან გაუქმების შემთხვევაში.

2. საწარმოს ლიკვიდაციისას განხილული უნდა იქნეს სამთო გვირაბებისა და ჭაბურღილების სხვა მიზნებისათვის შემდგომი გამოყენების შესაძლებლობის საკითხი. მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გვირაბები და ჭაბურღილები მოყვანილი უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის უსაფრთხოება, ეკოლოგიური პირობების, შენობებისა და ნაგებობების დაცვა, ხოლო საწარმოს კონსერვაციისას ისინი უნდა შენარჩუნდეს სამუშაო მდგომარეობაში კონსერვაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს, აგრეთვე იმ მიწისქვეშა ნაგებობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის შემთხვევაში, რომელიც არ არის დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან, გეოლოგიური, სამარკშეიდერო და სხვა დოკუმენტაცია უნდა წარმოებდეს სამუშაოთა დამთავრების მომენტამდე და უნდა ინახებოდეს წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში.

4. სალიკვიდაციო ან საკონსერვაციო ობიექტების მოსაზღვრე რაიონებში უნდა განხორციელდეს ღონისძიებები მომავალში სამთო სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების უზრუნველსაყოფად.

5. ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დამთავრებამდე წიაღით მოსარგებლეს ეკისრება ამ კანონით გათვალისწინებული სრული პასუხისმგებლობა.

6. ამ მუხლში აღნიშნული ობიექტების ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დამთავრების შემდეგ წიაღით მოსარგებლე ვალდებულია ამის თაობაზე ინფორმაცია დადგენილი წესით წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს (ორგანოებს). ობიექტების ლიკვიდაცია ან კონსერვაცია დამთავრებულად ითვლება ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების შემდეგ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი აქტის შედგენით, რომელიც შემდგომ დადგენილი წესით აისახება წიაღის შესახებ ერთიან სახელმწიფო ფონდში.)

### მუხლი 49. სამთო-სამაშველო სამსახური, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და წიაღით მოსარგებლეთა ვალდებულებები ავარიის ლიკვიდაციის დროს

1.წიაღით მოსარგებლე ვალდებულია, დადგენილი წესის შესაბამისად, შექმნას სამთო-სამაშველო სამსახური ან სახელშეკრულებო საწყისებზე ისარგებლოს სპეციალიზებული სამთო-სამაშველო ნაწილების მომსახურებით, სამთო გვირაბებზე ავარიების, მათ შორის ნავთობისა და გაზის ჭაბურღილებზე ღია შადრევნების გაჩენის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის. ამ სამსახურების და ნაწილების დისლოკაციას განსაზღვრავს ინსპექცია.

2. სამთო-სამაშველო ნაწილების, გაზისა და ნავთობის ღია შადრევნების გაჩენის თავიდან აცილების, მათი ლიკვიდაციის სამსახურების დებულებებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი დადგენილი წესით.

3. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები საწარმოში ან სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობებში ავარიის დროს გამოყონ ტრანსპორტი, მასალები, მოწყობილობები, კავშირგაბმულობის საშუალებანი, მედიკამენტები და აღმოუჩინონ სხვა დახმარება ავარიის ლიკვიდაციისათვის.

(მუხლი 49. სამთო-სამაშველო სამსახური და წიაღით მოსარგებლის ვალდებულებები ავარიის ლიკვიდაციის დროს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)
წიაღით მოსარგებლე ვალდებულია, დადგენილი წესის შესაბამისად, შექმნას სამთო-სამაშველო სამსახური ან ხელშეკრულების საფუძველზე ისარგებლოს სპეციალიზებული სამთო-სამაშველო ნაწილების მომსახურებით სამთო გვირაბებზე ავარიების, მათ შორის, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილებზე ღია შადრევნების გაჩენის, თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის. )

## თავი მეექვსე
## პასუხისმგებლობა წიაღის კანონის დარღვევისათვის

მუხლი 50. პასუხისმგებლობა წიაღის კანონის დარღვევისათვის

1. გარიგება, რომელიც აშკარად თუ ფარულად არღვევს ამ კანონს, ბათილია.

2. პირებს, რომელთაც დადეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარიგება, აგრეთვე მათ ვინც წიაღით თვითნებურად ისარგებლეს;

დაარღვიეს წიაღით სარგებლობის ნორმები, აგრეთვე წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესები და ნორმები;

თვითნებურად გაანაშენიანეს წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობები;

დაარღვიეს წიაღის დაცვის, აგრეთვე, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნები;

ხელყვეს ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მათი ტერიტორიები და დაცვითი ზონები;

დაარღვიეს გეოლოგიურ ინფორმაციის საკუთრების უფლება;

მოსპეს ან დააზიანეს მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილები, აგრეთვე, სამარკშეიდერო და გეოდეზიური ნიშნები;

დაარღვიეს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის წესები და ნორმები;

დაარღვიეს მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ნიადაგის რეკულტივაციის წესები და ნორმები;

შეგნებულად მიაწოდეს სამინისტროსა და დეპარტამენტს დაგვიანებული ან ცრუ ინფორმაცია წიაღის შესახებ

დაეკისრებათ პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობა დაეკისრებათ პირებს, რომლებმაც:

ა) დადეს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გარიგება, აგრეთვე მათ, ვინც წიაღით თვითნებურად ისარგებლა;

ბ) დაარღვიეს წიაღით სარგებლობის ნორმები, აგრეთვე წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესები და ნორმები;

გ) განახორციელეს წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებური განაშენიანება;

დ) დაარღვიეს წიაღის დაცვის, აგრეთვე წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე ზეგავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნები;

ე) ხელყვეს ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მათი ტერიტორიები და დაცვითი ზონები;

ვ) დაარღვიეს გეოლოგიური ინფორმაციის საკუთრების უფლება;

ზ) მოსპეს ან დააზიანეს მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილები, აგრეთვე სამარკშეიდერო და გეოდეზიური ნიშნები;

თ) დაარღვიეს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის წესები და ნორმები;

ი) დაარღვიეს მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ნიადაგის რეკულტივაციის წესები და ნორმები;

კ) ლიცენზიის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს შეგნებულად მიაწოდეს დაგვიანებული ან ცრუ ინფორმაცია წიაღის შესახებ. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 51. სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს წყვეტს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 52. ზარალის ანაზღაურება

1. წიაღით მოსარგებლენი ვალდებული არიან აანაზღაურონ "წიაღის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ზარალი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. წიაღით თვითნებური სარგებლობა და წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება აღიკვეთება გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლად.

(მუხლი 52. ზიანის ანაზღაურება (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წიაღით მოსარგებლენი ვალდებული არიან, აანაზღაურონ ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ზიანი.

2. წიაღით თვითნებური სარგებლობა და წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებური განაშენიანება აღიკვეთება გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლად. )

## თავი მეშვიდე

## საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 53. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესი და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმების წესი.

## თავი მერვე.
## გარდამავალი დებულებანი

მუხლი 54. გარდამავალი დებულებანი

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ლიცენზირების შემოღებამდე წიაღით სარგებლობის მიზნით გაცემული ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწის გამოყოფის, სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნებით სარგებლობის უფლებას, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ არის დამაგრებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიით (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელდა მიწის მინაკუთვნის პრივატიზება და ასეთი მინაკუთვნის მფლობელს, ამ მინაკუთვნის სარეგისტრაციოდ უკვე წარდგენილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია), ხოლო ამ მინაკუთვნების ფარგლებში განთავსებული მიწისქვეშა და მათთან დაკავშირებული მიწისზედა ნაგებობები (ჭაურის, გვირაბებისა და ჭაბურღილების პირები, საკაპტაჟე და ზედა საკაპტაჟე ნაგებობები), აგრეთვე ლიკვიდირებული და დაკონსერვებული ასეთი ნაგებობები მიიჩნევა წიაღის უბნის განუყოფელ ნაწილად და მათ განკარგავს სამინისტრო.

(1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ლიცენზირების შემოღებამდე წიაღით სარგებლობის მიზნით გაცემული ყველა დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებს მიწის გამოყოფის,

სამთო ან გეოლოგიური მინაკუთვნით სარგებლობის უფლებას, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ არის დამაგრებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიით (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ კანონის ამოქმედებამდე განხორციელდა მიწის მინაკუთვნის პრივატიზება და ასეთი მინაკუთვნის მფლობელს მის სარეგისტრაციოდ უკვე წარდგენილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია), ხოლო ამ მინაკუთვნის ფარგლებში განთავსებული მიწისქვეშა და მათთან დაკავშირებული მიწისზედა ნაგებობები (ჭაურის, გვირაბებისა და ჭაბურღილების პირები, საკაპტაჟე და ზედა საკაპტაჟე ნაგებობები), აგრეთვე ლიკვიდირებული და დაკონსერვებული ასეთი ნაგებობები წიაღის უბნის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა და მათი განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. სამინისტრომ საქართველოს მიწის მართვის და საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით დაუწესოს წიაღით სარგებლობის თითოეულ ობიექტს მიწის მინაკუთვნი. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3. სამინისტრომ უზრუნველყოს ადრე გაცემული ლიცენზიების შეცვლა ამ კანონით დადგენილი ფორმით.**ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

4. წიაღით სარგებლობის სფეროში კომპეტენციათა გამიჯვნა ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის აღმასრულებელ სტრუქტურებს შორის განისაზღვროს წიაღის შესახებ საქართველოს კოდექსით.**ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

5. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-17 პუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 ოქტომბრიდან.

6. 2002 წლის 1 ოქტომბრიდან გაუქმდეს წიაღით სარგებლობის ყველა ის ლიცენზია, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მოთხოვნას. *(1.03.2002)*

7. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებმა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინონ ადგილობრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის წიაღისეულის ჯგუფების, აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის წიაღით სარგებლობის ობიექტების ნუსხა. *(22.04.2005 N 1409)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

8. სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს წიაღით სარგებლობის ობიექტებისათვის დაწესებული მიწის მინაკუთვნები, როგორც წიაღის ფონდის მიწები. აღნიშნული ფონდის მიწების განკარგვა მოხდეს მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად. *(22.04.2005 N 1409)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

9. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცებისთანავე აიკრძალოს მათთან სიახლოვეს განლაგებულ იმ საბადოებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან განსაკუთრებული მნიშვნელობის საბადოებს, გაცემული ლიცენზიების ვადის გაგრძელება ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული კონკურსის (აუქციონის) ჩატარების გარეშე. *(22.04.2005 N 1409)* **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე*

ქ.თბილისი
1996 წლის 17 მაისი
N 242 – IIს